პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელი 10-ე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ორშაბათი
23
ნოემბერი
1936 წ.
№ 271 (4770)

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა

- რაიკომის ინსტრუქტორი (მოწინავე).
- საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება.
- სიმაღლეზე აფრენის ახალი რეკორდი.
- საქართველოს ცაკის დადგენილებანი.
- კ. ემეროვოს მაღაროში მომქმედი კონტრრევოლუციური ტროცკისტული მავნებლური ჯგუფის პროცესი.
- ა. რუხაძე — გამოვიყენოთ თბილისის გამოცდილება.

უცხოეთში:

- ანარქისტ დურუტის სიკვდილი.
- ძმობისა და სოლიდარობის დოკუმენტი (დურუტის წერილი სსრ კავშირის მუშებს).
- ბარსელონაში ჩავიდა 10 ათასი მეომარი.
- გერმანიის დახმარება ფაშისტ მეამბოხეებს.
- მთავრობის ავიაციის წარმატებანი.
- ფრანგული იარაღი ესპანელ მეამბოხეებს.

რაიკომის ინსტრუქტორი

პარტიული დოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის შედეგად რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა მდიდარი გამოცდილება დააგროვეს. პარტიული აპარატი უფრო დაუახლოვდა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, თვითეულ კომუნისტს, მის მოთხოვნებს. პარტიულ აპარატში დაწინაურდნენ ახალი კადრები, რომელნიც ეუფლებიან მუშაობისა და ხელმძღვანელობის სტალინურ სტილს.

მაგრამ პარტიული აპარატის ზოგიერთმა მუშაკმა არსებითად ვერ გამოარკვია თავისი როლი აპარატში, ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა, ან კალამს აწრიპინებს, ან და—მიშველ ადმინისტრირებას ეწევა.

ადვილად გასაგებია, რომ ასეთი ტიპის პარტიული მუშაკი ვერ მიაღწევს ორგანიზაციული ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე ამაღლებას, პარტიული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, პარტიის პოლიტიკური ლოზუნგებისა და გადაწყვეტილებათა ისე გატარებას ცხოვრებაში, როგორც ამას პარტია მოითხოვს.

პარტიული მუშაობა უფრო მაღალ საფეხურზე რომ ავიყვანოთ, ამისთვის მარტოოდენ სწორი პოლიტიკური ხაზი, საკითხის სწორი გადაწყვეტა ხომ არ კმარა. დიდი სტალინი გვასწავლის, რომ „მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი, საორგანიზაციო მუშაობა სწყვეტს ყველაფერს, მათ შორის თვით პოლიტიკური ხაზის ბედსაც,—მის შესრულებას, ან მის ჩაშლას".

რაიკომის ინსტრუქტორი — პარტიული აპარატის მეტად მნიშვნელოვანი რგოლია, მნიშვნელოვანი ფიგურაა, იგი მიმაგრებული პირველადი პარტორგანიზაციების განსაზღვრულ ჯგუფზე, რომელშიც აწყობს პარტიული მუშაობის ყველა დარგს — კულტურულ-პროპაგანდისტულს, საგიტაციო-მასობრივს, ორგანიზაციულს.

რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორის მუშაობის, მისი გამოყენებისა და მისი ხელმძღვანელობის საკითხი თითქოს არ უნდა მოითხოვდეს დიდ განმარტებას, მაგრამ ზოგიერთმა რაიკომმა დაივიწყა ეს უდავო ჭეშმარიტება და ინსტრუქტორები სამეურნეო კამპანიის რწმუნებულებად გადააქცია.

მაგალითად, ჩოხატაურის რაიკომს ჯერ კიდევ აქვს პრაქტიკაში ინსტრუქტორთა მიმაგრება კოლმეურნეობებზე და საბჭოებზე სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის. და ეს ხდება მაშინ, როდესაც საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა ამის შესახებ თავის დროზე გააფრთხილა რაიკომი.

ოჩემჩირის რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ლეჟავა პრაქტიკულად ვერ ეხმარება პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. ის ზის რაიკომში და პარტორგანიზატორებისაგან თხოულობს „მოხსენებითი ბარათებს" და კრებების ოქმებს, რისთვისაც წინასწარ უგზავნის „გამოკვლევის კითხვარს" იმის შესახებ, თუ რომელ კომუნისტს არ აქვს პარტიული დავალება, ვინ არ იცის პარტიის წესდება, რამდენია პასიური კომუნისტი, როგორაა მოწყობილი თანაგრძნობთა შორის მუშაობა... მეორე ინსტრუქტორი ამხ. ბეჟანია უფრო „ორიგინალურ" მუშაობას ეწევა. „დაკვრითი წესით" აგროვებს პირველადი პარტორგანიზაციის ოქმებს, უკეთებს თავისებურ რედაქციას, ბეჭდავს მანქანაზე და აბრუნებს უკან. ეს ოქმები ყველა ერთფეროვანია და არა ჩანს პარტიული კრების ნამდვილი სახე, რადგან ის იწერება ინსტრუქტორის „ბრძნული განჭვრეტით" და არა ისე, როგორც ის სინამდვილეში იყო.

ჩოხატაურისა და ოჩემჩირის პარტრაიკომების ინსტრუქტორთა მაგალითი იშვიათი გამონაკლისი როდია. სხვა რაიკომების ინსტრუქტორებიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით კი — რაიკომის მდივნებიც, სცოდავენ ხშირად. არის შემთხვევები, რომ ინსტრუქტორები ხან კონსულტანტები, ხან—მოხსენებების შემდგენნი, ხან—რწმუნებულ-მიმაგრებულნი, ხოლო ზოგჯერ მათი სხვა სამუშაოზე „გადასროლაც" ხდება. ის ყველაფერი ხდება ცოცხალი საქმის—პრაქტიკული პარტიული მუშაობის გვერდის ავლით.

როგორც საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის რეზოლუციაშია აღნიშნული, „პარტიაში მიღების განახლება მრავალგზის ადიდებს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანას". ეს კი მოითხოვს პარტრაიკომის ინსტრუქტორთა მუშაობის და რაიკომის მდივნების მხრივ მათი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისთვის კონკრეტულ დახმარებას, თვითეული კომუნისტის მოქცევას პარტორგანიზაციების მუშაობის ცენტრში.

პარტიის რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა იმ მიმართულებით უნდა გაშალონ მუშაობა, რომ პირველადი ორგანიზაციების დახმარება და ხელმძღვანელობა ცხოველმყოფელი გახადონ, რომ მათმა ინსტრუქტორებმა მოაწყონ და მოწოდების სიმაღლეზე აიყვანონ ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა.

გამსვლელი ინსტრუქტორის მთავარი მოვალეობაა — იყოს მოძრავი, ოპერატიული, რაიკომი და საქალაქო კომიტეტი დააკავშიროს პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან, კომუნისტებთან, საფუძვლიანად შეისწავლოს და არსებითად გააუმჯობესოს პარტიული მუშაობა.

ინსტრუქტორი უპირველესად ყოვლისა პარტიული ორგანიზატორია. მას არ სჭირდება დიდი „პერსპექტიული გეგმები". მან უნდა აწარმოოს სისტემატური, თანმიმდევრული პარტიული მუშაობა. მისი ამოცანაა: აამაღლოს თვითეული კომუნისტის ავანგარდული როლი, პარტორგანიზაციების საშუალებით ფართოდ გაშალოს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საწარმოებში და სოფლად, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, უფრო გააძლიეროს მასების პოლიტიკური აქტივობა.

ინსტრუქტორი რომელიმე განყოფილების თანამშრომელი კი არ არის, ის რაიკომის წარმომადგენელია, პასუხისმგებელი მუშაკია, პარტიული ორგანიზატორია. ამიტომ ის პასუხს აგებს თვითეულ პარტორგანიზაციაზე, რომელზედაც ის არის მიმაგრებული. მან პარტკომის მდივნებსა და პარტორგებს დადებითსა და უარყოფით კონკრეტულ მაგალითებზე უნდა ასწავლოს სტალინური სტილით მუშაობა, მაგრამ თვითონაც უნდა ისწავლოს პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. ახლა მთავარია ადამიანები და მას ჰმართებს ადამიანთა შესწავლა, მათზე ზრუნვა, მათი აღზრდა.

პარტიული აპარატის ინსტრუქტორი პარტიული მუშაკია, მას ყველაფერი უნდა აინტერესებდეს, მაგრამ ამავე დროს დიფერენცირებულად უნდა მოაწყოს თავისი მუშაობა პირველ რიგში ძირითად რგოლს ჩაავლოს ხელი, მთავარი ყურადღება მიაქციოს გადამწყვეტ და ჩამორჩენილ უბნებს, ისე, რომ არცერთ შემთხვევაში პირადად არ შეცვალოს პირველადი ორგანიზაციები, მათი ხელმძღვანელობა.

ინსტრუქტორმა ისე უნდა მოაწყოს თავისი მუშაობა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება გაამახვილონ აქტუალურ საკითხებზე. ის უნდა ეხმარებოდეს ორგანიზაციებს პარტიაში ახალ მიღებაშიც და „პარტიული მეურნეობის" მოწესრიგებაშიც, დადგენილებათა შესრულების შემოწმებაშიც და შინაპარტიული დემოკრატიის გაშლაშიც, ბოლშევიკური შემტევი სიფხიზლის გაძლიერებაშიც და შესაფერისი საკითხების რაიკომის წინაშე დაყენებაშიც.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს —
ამხანაგ სტალინს

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს —
ამხანაგ მოლოტოვს

თავდაცვის სახალხო კომისარიატს— საბჭოთა კავშირის მარშალს
ამხანაგ ვოროშილოვს

სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს—
ამხანაგ ორჯონიკიძეს

ინჟინერთა ჯგუფის მიერ ამხ. ბოლხოვიტინოვის ხელმძღვანელობით კონსტრუირებული და გორბუნოვის სახელობის ქარხანაში აგებული ოთხმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავით 1936 წლის 20 ნოემბერს ჩვენ მოვახდინეთ გაფრენა 4535 მეტრის სიმაღლეზე 13 ტონა კომერციული დატვირთვით, რითაც გადავაჭარბეთ რეკორდს მაიორ იუმაშევისას, რომელიც თვითმფრინავ ანტ—6-ით ავიდა 2700 მეტრის სიმაღლეზე 12 ტონით. განვაგრძობთ შემდგომ მუშაობას სიმაღლეზე ფრენისათვის კომერციული დატვირთვით.

თვითმფრინავის ეკიპაჟი:

მფრინავ - გამომცდელი, უფროსი ლეიტენანტი **ნიუხტიკოვი.**
ინჟინერ - მფრინავი, მე-8 რანგის სამხედრო ინჟინერი **ლიპკინი.**
ბორტტექნიკოსები, 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსები
ელტიშევი, ობიდენიკოვი.

◇ ◇ ◇

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება

გაუქმდეს „ზაგოტლიონის" უფროსის ამხ. რადჩენკოს განკარგულება პარტიიდან გარიცხული ყველა პირის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ, რამდენადაც ეს განკარგულება ეწინააღმდეგება პარტიის პოლიტიკას და არღვევს სსრ კავშირის კანონებს, რომლებიც კრძალავენ ვისიმე დათხოვნას სამუშ.-ოდან უპარტიობისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.

21 ნოემბერი, 1936 წ.

მდგომარეობა ესპანეთში

ბარსელონაში ჩავიდა 10 ათასი მეომარი

ბარსელონა, 21 ნოემბერი. (საქდესი). ფაბრის სააგენტოს ცნობით, გუშინ ბარსელონაში ჩამოვიდა 10 ათასი მეომარი. შრომის უწყების მრჩეველმა კამორერამ მათ სიტყვით მიმართა.

მთავრობის ავიაციის წარმატებანი

ვენა, 21 ნოემბერი. (საქდესი). „ვინერ ტაგი" აქვეყნებს ხერსტის სააგენტოს ინტერნეშენელ ნიუს სერვისის კორესპონდენტის მიერ მადრიდიდან გადმოცემულ ცნობას, რომ მთავრობის ავიაციამ, რომელიც თავს დაესხა სალამანკას, ავილას, კორდოვას და სხვა პუნქტებს, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამასთან კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა მეამბოხეთა ავიაცია ყუმბარებს უშენს ესპანეთის უმწეო მოსახლეობას, უმთავრესად ქალებსა და ბავშვებს, მთავრობის ავიაცია თავისი ბომბარდირების ობიექტად ირჩევს ფაშისტ მეამბოხეთა აეროდრომებსა და სამხედრო სიმაგრეებს.

გერმანიის დახმარება ფაშისტ მეამბოხეებს

ბუქარესტი, 20 ნოემბერი. (საქდესი). როგორც რუმინეთის სააგენტო ადვერი იუწყება, ფაშისტური გერმანია აშკარად ამზადებს 12 საზენიტო ზარბაზნისა და 800 გამოცდილი არტილერისტის გაგზავნას ესპანელ მეამბოხეთათვის.

ფრანგული იარაღი ესპანელ მეამბოხეებს

პარიზი, 21 ნოემბერი. (საქდესი). პრესის გადმოცემით, ბორდოში (ნავსადგური საფრანგეთის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში) პოლიციამ აღმოაჩინა ორგანიზაცია, რომელიც კონტრაბანდულად აწვდიდა ესპანელ მეამბოხეთ იარაღსა და სამხედრო საჭურველს. პოლიციამ დააპატიმრა ვინმე ლუსიენ ბურდალი, რომელსაც, პოლიციის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტების თანახმად, ერთი უცხო სახელმწიფოსაგან 50.000 ფრანკი მიუღია.

მუშებისაგან მიღებულ ცნობებით მთელი რიგი საავტომობილო ქარხნები მეამბოხეთა დაკვეთების შესრულებაზე მუშაობენ. საფრანგეთის საზღვრით მეამბოხეთათვის ყოველდღე იგზავნება მრავალი ავტომობილი, აგრეთვე ბევრი კაუჩუკი. პარიზელი კომერსანტები მეამბოხეებს ფქვილის დიდძალ პარტიებს უგზავნიან.

„ლუმანიტე" პროტესტს აცხადებს მეამბოხეთა მომარაგების წინააღმდეგ და მოითხოვს, რათა რესპუბლიკურ ესპანეთს ბლოკადა მოეხსნას.

ფრანკოს „მთავრობა" და ინგლისი

ლონდონი, 20 ნოემბერი. (საქდესი). საღამოს გაზეთი „სტარი" სწერს, რომ უკანასკნელი კვირეების მანძილზე ინგლისის მთავრობას კერძო გზით კონტაქტი ჰქონდა გენერალ ფრანკოსთან და ცდილობდა გამოერკვია, თუ როგორი იქნება გენერალ ფრანკოს „მთავრობის" დამოკიდებულება ხმელთაშუაზღვაში ინგლისის ინტერესებისადმი. გაზეთის სიტყვით, ფრანკოსაგან მიღებულ პასუხს დამაკმაყოფილებლად სთვლიან და შესაძლოა, სწორედ ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ბრიტანეთის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები თანაგრძნობით ეკიდებიან მეამბოხეებს. შემდეგ გაზეთი სწერს, რომ ინგლისი მალე მიაკუთვნებს მეამბოხეებს მეომარი მხარის უფლებებს. ამ შემთხვევაში, აცხადებს გაზეთი, ინგლისი ჩაურევლობის პოლიტიკიდან გადავა ცინიკური ნეიტრალიტეტის პოზიციაზე, რომლის დროსაც ინგლისის მთავრობა ხელს დაიბანს ხოლმე მესამე სახელმწიფოთა ჩარევის ყოველგვარ შემთხვევაში.

სარედაქციო სტატიაში „სტარი" არ იწონებს იდენის განცხადებას თემთა პალატაში და აღნიშნავს, რომ გენერალ ფრანკოს „მთავრობის" ცნობა წარმოადგენს ჩაურევლობის შეთანხმების ისეთსავე სერიოზულ დარღვევას, როგორც იარაღის გაგზავნა.

ინგლისის პრესა იდენის განცხადების შესახებ თემთა პალატაში

ლონდონი, 21 ნოემბერი. (საქდესი). ყველა გაზეთი დიდ ყურადღებას აქცევს იდენის მიერ თემთა პალატაში გაკეთებულ განცხადებას, რომელშიაც ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხზე აღნიშნული იყო, რომ „მოიპოვებიან სხვა მთავრობანი, რომლებიც შეიძლება უფრო მეტად გასაკიცხავი იყვნენ, ვიდრე გერმანიის და იტალიის მთავრობანი".

კონსერვატიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ იდენის ამ განცხადებას მთავრობის სკამებზე ტაშით შეხვდნენ.

ოპოზიციური გაზეთები იდენის განცხადებას ახასიათებენ, როგორც „საკვირველ გალაშქრებას".

„დეილი ჰერალდის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს:

„თემთა პალატის ლეიბორისტი წევრები გაოცებული დარჩნენ. იდენს, როგორც ჩანს, მხედველობაში ჰქონდა საბჭოთა კავშირი, თუმცა საჩივრები ამ ქვეყნის მიმართ ჯერ კიდევ განსახილველია ჩაურევლობის კომიტეტის მიერ. ხოლო ის კონკრეტული საჩივრები, რომლებიც უკვე განიხილეს, უყურადღებოდ დასტოვეს ან დაუმტკიცებლად სცნეს. აშკარა იყო, რომ იდენს აწუხებს უკანასკნელი საერთაშორისო ამბების დიდი დაძაბულობა".

„მანჩესტერ გარდიანი" მოწინავე სტატიაში სწერს, რომ იდენის განცხადება „არაკეთილგონიერული და უხეირო" იყო. „შეუძლებელია არ დავეთანხმოთ გალახერის თვალსაზრისს, — სწერს გაზეთი,—რომ საგარეო საქმეთა მინისტრს არავითარი უფლება არ ჰქონდა ასე გადაჭრით ელაპარაკნა, რადგან ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტში ჯერ კიდევ გრძელდება საკითხის განხილვა". შემდეგ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩაურევლობის კომიტეტმა უკვე სცნო დაუსაბუთებლად სამი საჩივარი საბჭოთა კავშირის მიერ შეთანხმების დარღვევის შესახებ, ხოლო დანარჩენი საჩივრები ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია; ამიტომ საკითხავია, განაგრძობს გაზეთი, „თუ რა უფლება ჰქონდა იდენს გამოეტანა „კატეგორიული განაჩენი".

დასასრულ გაზეთი მიუთითებს, რომ იდენის განცხადება ფაშისტურ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც გასამართლებული საბუთი ჩაურევლობის შეთანხმების შემდგომი დარღვევისათვის.

გენერალი ფაუპელი — გერმანიის საქმეთა რწმუნებული ფრანკოს „მთავრობასთან"

ბერლინი, 21 ნოემბერი (საქდესი). გერმანიის საქმეთა რწმუნებულად ფრანკოს „მთავრობასთან" დაინიშნა სამსახურიდან გადამდგარი გენერალი ფაუპელი.

ამ გენერლის ბიოგრაფია მეტად დამახასიათებელია. გერმანიის არმიაში შესვლამდე ფაუპელი იყო ჩინეთში, ხოლო შემდეგ მონაწილეობას ღებულობდა სამხრეთ-აფრიკაში ჰოტენტოტების აჯანყების ჩაქრობაში. 1914 წლის ომის დროს ფაუპელი მსახურობდა ჰინდენბურგის შტაბში; ხოლო 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ მონაწილეობას ღებულობდა სპარტაკელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მიუნხენში, დრეზდენში, რეინის ოლქში, აგრეთვე ზემო-სილეზიაში.

◇

ავსტრიის დელეგაცია ბერლინში

ბერლინი, 21 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი შმიდტი და მისი თანმხლები ავსტრიელი მოხელეები ეწვივნენ გერმანიის ავიაციის მინისტრს გერინგს. შემდეგ ავსტრიის დელეგაციამ დაათვალიერა სამხედრო საჰაერო აკადემია გატოვში და სამხედრო აეროდრომი დებერიცში.

◇

უკანასკნელი ცნობები

ხუთი ცნობილი ამერიკელი მფრინავი ჩავიდა ვალენსიაში ფაშისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი. (საქდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის" სიტყვით, 5 ცნობილი ამერიკელი მფრინავი ვალენსიაში ჩავიდა. მფრინავები მალე გაემგზავრებიან მადრიდს, რომ მონაწილეობა მიიღონ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მფრინავებს შორის არიან აკოსტა, რომელმაც მოახდინა ტრანსატლანტიკური გადაფრენა, მაიორი ფრედერიკ ლორდი—ინგლისის სამხედრო ძალების ყოფილი მფრინავი და სხვ.

მადრიდის ფრონტზე

პარიზი, 22 ნოემბერი. (საქდესი). როგორც ჰავასი მადრიდიდან გადმოგვცემს მადრიდის დაცვის კომიტეტის მიერ შუადღისას გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ კაზა დელ კამპოს რაიონში მთავრობის არტილერიამ გაჰფანტა მეამბოხეთა დიდძალი ჯგუფები. საუნივერსიტეტო უბანში რესპუბლიკელთა ჯარებმა ახალი პოზიციები დაიჭირეს. მთავრობის ჯარებმა ღამით დიდი სიმძლავრის ნაღმების შეწევნით ააფეთქეს სანგრების ბრუსტვერები (საფრები), რომლებიც დაკავებული ჰქონდათ მაროკოელთა ჯარებს კარაბანჩელის რაიონში. მეამბოხენი იძულებული იყვნენ დიდი მანძილით დაეტოვებინათ თავისი მოწინავე პოზიციები, რომლებიც მთავრობის ჯარებმა დაიჭირეს. მეამბოხეებმა პოზიციებზე დასტოვეს რამდენიმე ასი კაცი მოკლული.

საბჭოთა კავშირში

სტალინური კონსტიტუციის პროექტი 60 მილიონ ცალად

მოსკოვი, 22 ნოემბერი (საქდესი). 60 მილიონზე მეტი ტირაჟით გავრცელდა საბჭოთა ქვეყანაში სსრ კავშირის ხალხთა 100 ენაზე გამოცემული სტალინური კონსტიტუციის პროექტი.

ეს ისტორიული დოკუმენტი, ბროშურებისა და პლაკატების სახით დაბეჭდილი, მდიდრულად გამოცემული უბის წიგნის ფორმატით — იგი გავრცელდა ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველაზე დაშორებულ ქალაქებსა და სოფლებში. სსრ კავშირის ძირითადი კანონის პროექტი განიხილა და შეისწავლა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელმა.

დიდი ქარტია სოციალიზმისა, რომლის ინიციატორი და შემოქმედი არის დიდი სტალინი, გამოაქვეყნა ამა წლის ივნისის შუა რიცხვებში თითქმის ათი ათასზე მეტმა ცენტრალურმა და ადგილობრივმა გაზეთმა, რომელთა ერთდროული ტირაჟი 37 მილიონ ცალამდე აღის.

სტალინური კონსტიტუციის პროექტი გაუგონარი ტირაჟით გამოსცეს მთელმა რიგმა საბჭოთა გამომცემლობებმა. საქ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი გამოუშვა 14,5 მილიონ ცალად 50-ზე მეტმა ნაციონალურმა გამომცემლობამ პროექტი სპეციალურ გამოცემად გამოუშვა. უკრაინულ ენაზე სტალინური კონსტიტუციის პროექტი გამოცემულია 2,1 მილიონზე მეტ ცალად, უზბეკურზე — 400 ათას ცალად, ტაჯიკურზე — 200 ათას ცალად. ასიათასცალიანი ტირაჟით გამოვიდა ბროშურები ქართულ, სომხურ, თურქმენულ, ყაზახურ, ყირგიზულ, თათრულ და სსრ კავშირის ხალხთა სხვა მრავალ ენაზე.

ათიათასი ცალობით გავრცელდა სტალინური კონსტიტუციის პროექტი, დაბეჭდილი ადიგეთა, ბაშკირთა, ბურიატთა, მოკშის, ერზის და ხაკასთა დედაენაზე.

მასობრივ - პროპაგანდისტულმა და თეორიულმა ჟურნალებმაც, რომლებიც პერიოდულად გამოდის სსრ კავშირში, გამოაქვეყნეს ივნისის ნომერში სოციალიზმის დიდი ქარტია. ჟურნალი „ბოლშევიკი" სტალინური კონსტიტუციის პროექტით გამოვიდა 550 ათასცალიანი ტირაჟით, ჟურნალი „სპუტნიკ აგიტატორა" — 200 ათას ცალად, ჟურნალი „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალი" თითქმის ასიათასიანი ტირაჟით გამოვიდა.

უდიდესი ტირაჟით არის გავრცელებული სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი უცხო ენებზე — გერმანულზე 120 ათასი ცალი, ინგლისურზე — 69 ათასი, ჩინურზე — 50 ათასი, ფრანგულზე — 25 ათასი, ბულგარულზე — 21 ათასი, პოლონურზე — 22 ათასი ცალი და სხვ.

1937 წელს სავსებით ლიკვიდირებული იქნება კოლმეურნეთა უძროხობა

მოსკოვი, 21 ნოემბერი. (საქდესი). დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე ხალხთა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა დასვა საკითხი კოლმეურნეთა შორის უძროხობის ლიკვიდაციის შესახებ. მას შემდეგ პარტია და მთავრობა დაუღალავად იბრძვიან უძროხობის ლიკვიდაციისათვის კოლმეურნეებს უდიდეს დახმარებას უწევენ სახელმწიფო კრედიტების სახით სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის კანტორების მეშვეობით. 1933 წლიდან 1936 წლის ნოემბრამდე კოლმეურნეებს მიეცათ შეღავათიანი კრედიტები 196 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ ხნის განმავლობაში 4 მილიონზე მეტმა კოლმეურნემ გაიჩინა ძროხა.

მიმდინარე წელს ახალი წარმატებანი იქნება მიღწეული უძროხობის ლიკვიდაციაში. კოლმეურნეებს გადაეცემათ 2.700 ათასამდე დეკეული, 1 ოქტომბრისათვის მათ უკვე მიჰყიდეს 877 ათასზე მეტი დეკეული. გარდა ამისა, გადასაცემად დაკონტრაქტებულია 530 ათასზე მეტი დეკეული. კოლმეურნენი უძროხობის ლიკვიდაციისათვის ღებულობენ 81 მილიონ მანეთ კრედიტს.

პირველი სამი კვარტალის შედეგები მოწმობენ უძროხობის ლიკვიდაციის წარმატებით მიმდინარეობას. 1937 წელს უძროხობა სავსებით ლიკვიდირებული იქნება. ამ უდიდეს წარმატებებს პარტიამ და მთავრობამ მიაღწიეს სტალინური საკოლმეურნეო წესდების განხორციელებისა და სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფოებრივი დაგეგმვის შედეგად.

ესპანეთის მთავრობის არმიის ახალგაზრდა ნუშა-მებრძოლი
ფოტო სლავინისა („სოიუზფოტო")

ანარქისტ დურუტის სიკვდილი

ვალენსია, 21 ნოემბერი (საქდესი). ცნობილი ანარქისტი დურუტი მოჰკლეს მადრიდის ფრონტზე, სადაც იგი მეთაურობდა თავის მიერ შედგენილ კატალონელთა კოლონას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გადმოყვანილ იქნა არაგონის ფრონტიდან.

ბუენავენტურა დურუტი

„პრავდის" სარედაქციო სტატია.

ესპანეთის იმ გმირ მებრძოლთა სახელოვან სიას, რომლებიც ფაშისტ მეამბოხეებთან და ინტერვენტებთან ბრძოლაში დაიღუპნენ, მიემატა დურუტის სახელი. ფაშისტური ამბოხების პირველი დღეებიდანვე დურუტი, რომელიც პირადი სიმამაცის მაგალითით ათასობით მუშებს იტაცებდა, ებრძოდა მტრებს არაგონის ფრონტებზე. თავისი ხუთიათასიანი რაზმით მან სასწრაფოდ მოაშურა მადრიდს, როცა ფაშისტთა ურდოებმა დაიწყეს იერიში ესპანეთის დედაქალაქზე.

დურუტი — ბარსელონელი მუშაა. მისი სახელი სძულდა ბურჟუაზიას. წარსულში მას ოთხჯერ ჰქონდა გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი. იგი იყო ანარქისტთა ესპანეთის ორგანიზაციის, ეგრეთწოდებული იბერიის ანარქისტთა ფედერაციის ერთერთი ბელადი.

1933 წლის დამლევს ფედერაციამ შესძლო გადამწყვეტი გავლენა მოეპოვებინა ესპანეთის ანარქოსინდიკალისტთა პროფკავშირულ ორგანიზაციაში, ეგრეთწოდებულ შრომის ნაციონალურ ფედერაციაში, სადაც იქამდე სჭარბობდა გავლენა სინდიკალისტებისა, რომლებსაც პესტანია მეთაურობდა. მას შემდეგ დურუტი აგრეთვე იყო შრომის ნაციონალური ფედერაციის ერთერთი ბელადი. სამხედრო ფაშისტურმა ამბოხებამ აიძულა დურუტი, ისე როგორც სხვა მრავალი ესპანელი ანარქისტი, გადაესინჯა თავისი პოზიციები. ამბოხება რომ დაიწყო, იგი შეუდგა მუშათა შეიარაღებული რაზმების შედგენას. თავდაპირველად ეს რაზმები განაგრძობდნენ დგომას ყოველგვარი ხელისუფლების უარყოფის პოზიციებზე, „ორგანიზებული უდისციპლინობის" პოზიციებზე. ამბების განვითარებამ, ბრძოლის სიძნელეებმა, ინტერვენტთა გამოსვლამ, ფაშისტ მეამბოხეთა მიახლოვებამ მადრიდთან, დაანახვეს დურუტის, ისე როგორც ესპანელ ანარქისტ მუშათა უმრავლესობას, რომ დისციპლინა და ორგანიზაცია აუცილებელია. და დურუტიმაც გაითვალისწინა ბრძოლის მკაცრი გაკვეთილი. „ჩვენ უნდა შევქმნათ მედგარი არმია. ჩვენ შემოვიღებთ რკინის დისციპლინას. მთავარი ამოცანაა — გავსრისოთ ფაშიზმი, დავიცვათ ესპანეთი", — ასეთი იყო ის ლოზუნგები, რომლებითაც მან ხელი მოჰკიდა შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციას. დურუტიმ განაცხადა, რომ იგი მზად არის სავსებით დაემორჩილოს ერთიანი ცენტრალიზებული სარდლობის განკარგულებებს მადრიდის დაცვისათვის ბრძოლებში.

რევოლუციურმა ესპანეთმა დაჰკარგა თავდადებული მებრძოლი, ფაშიზმის მოსისხლე მტერი.

◇ ◇ ◇

შმიდტი გაფრინდა ვენაში

ბერლინი, 21 ნოემბერი. (საქდესი). ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი შმიდტი დღეს თვითმფრინავით ბერლინიდან ვენაში გაფრინდა. შმიდტთან ერთად ვენაში ბრუნდება აგრეთვე გერმანიის ელჩი ავსტრიაში პაპენი. შმიდტის იმ მრავალ ვიზიტს შორის, რომლებიც მან ბერლინში გააკეთა, აღნიშნავენ რომ იგი ეწვია გერმანიის ფაშისტური პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციას.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ე. რამიშვილის საქ. სსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

ამხ. ამბროსი ექვთიმესძე **რამიშვილი** განთავისუფლებულ იქნას საქ. სსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრულებელი თ. ქლენტი.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. დრ. აღმსრულებელი ვ. ჩხეიძე.

1936 წლ. ნოემბრის 22.

○

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ე. მეტონიძის საქ. სსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

ამხ. ვალერიან ერმილესძე **მეტონიძე** დაინიშნოს საქ. სსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრულებელი თ. ქლენტი.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. დრ. აღმსრულებელი ვ. ჩხეიძე.

1936 წლ. ნოემბრის 22.

ეროვნული

კემეროვოს მაღაროში მომქმედი კონტრრევოლუციური ტროცკისტული მავნებლური ჯგუფის პროცესი

20 ნოემბრის საღამოს სხდომა

ნოვოსიბირსკი, 20 ნოემბერი. (საქტესი). დღეს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა მოწმე სტროილოვის დაკითხვა.

სტროილოვი ასურათებს შახტ „ცენტრალნაიას" მდგომარეობას 1935 წ. ივნისში, რაც მოწმობს, რომ იქ უკვე ამ დროისათვის არსებობდა კონტრრევოლუციური ტროცკისტული დივერსიული ჯგუფი.

ამ ჯგუფის ხელმძღვანელი პეშეხონოვი, ღებულობდა რა დავალებებს სტროილოვისაგან, აწვდიდა მას ინფორმაციას კონტრრევოლუციური მუშაობის მდგომარეობის შესახებ. 1936 წლის მაისში პეშეხონოვმა სტროილოვს აცნობა, რომ მისი მეთაურობით მომქმედი ჯგუფი დაუკავშირდა ნოსკოვის კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ჯგუფს. ამ კავშირის შედეგად მოხდა ორივე ჯგუფის მუშაობის აქტივიზაცია, რამაც შახტი „ცენტრალნაია" მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

კონტრრევოლუციური ტროცკისტული მავნებლური ჯგუფის მუშაობის შედეგია აფეთქება შახტში. შედეგად—ათობით მოკლული და დასახიჩრებული მაღაროელები.

სასამართლო გადადის მოწმე შესტოვის, სალაირსკის თუთიის მაღაროს ყოფილი მმართველის დაკითხვაზე. შესტოვი სასამართლო პასუხისგებაში მიცემულია სხვა საქმეზე.

როგინსკი: თქვენ იცოდით კემეროვოს კონტრრევოლუციური ჯგუფის მუშაობა?

შესტოვი: ვიცოდი. დასავლეთ-ციმბირის არალეგალური ტროცკისტული ცენტრის ხელმძღვანელის მურალოვის დავალებით მე გავემგზავრე კემეროვოში ინფორმაციისათვის კუზბასში წარმოებული კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ და იმისათვის, რომ დრობნისის საშუალებით გავცნობოდი ტროცკისტული მავნებლური ჯგუფების მუშაობას კემეროვოში. დრობნისმა დაწვრილებითი ინფორმაცია მომაწოდა იმის შესახებ, რომ კემეროვოში შექმნილია აქტიური კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც ეწევა დამნგრევ მუშაობას ქარხნებში, მაღაროში და ცენტრალურ თბოელექტროსადგურში.

შემდეგ მოწმე შესტოვი აჩვენებს, რომ დრობნისი ელაპარაკა მას შახტებში მომქმედი მავნებლური ჯგუფის შესახებ, რომელიც ანგრევს ვენტილაციას, ამზადებს მუშათა მკვლელობას და ამით ახორციელებს ტროცკისტული ცენტრის ხაზს.

როგინსკი: რომელ ცენტრთან იყავით თქვენ დაკავშირებული საბჭოთა კავშირში და ვისგან ღებულობდით მითითებებს?

შესტოვი: როცა ბერლინში ვიყავი, პირდაპირი დირექტივა მივიღე პიატაკოვისაგან დამნგრევი და ტერორისტული მუშაობის ჩასატარებლად კუზბასში. მან იცოდა, რომ მე კუზბასის მუშაკი ვარ, და მითხრა, რომ ჩემი მუშაობა მტკიცედ შეუთანხმე ხოლმე ტროცკისტულ ორგანიზაციის წარმომადგენელს ციმბირში—მურალოვს.

როგინსკი: მოგცეს თუ არა თქვენ დავალება ტერორისტული აქტების მოსაწყობად?

შესტოვი: დიახ, მე მივიღე პირდაპირი დირექტივა პიატაკოვისაგან, როცა ბერლინში ვიყავი. აქ, ციმბირში, მურალოვმა ეს უკვე იცოდა. და ჩვენ მხოლოდ ვთათბირობდით, როგორ მოგვეწყო ეს.

როგინსკი: რა დაგავალათ თქვენ ბერლინში პიატაკოვმა ტერორის მოსაწყობად?

შესტოვი: მან დამავალა მომეწყო დასავლეთ-ციმბირის მხარესა და კუზბასში ტერორისტული აქტები პოლიტბიუროს წევრებისა და მთავრობის წევრების წინააღმდეგ, რომლებიც დასავლეთ-ციმბირის მხარეში ჩამოვიდოდნენ, აგრეთვე დასავლეთ-ციმბირის სამხარეო კომიტეტის მდივნის ეიხეს წინააღმდეგ. ეიხეს წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობის კონკრეტულად შემუშავებული გეგმის გარდა, ჩვენ ვაწყობდით საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოლოტოვის მოკვლას. ეს იყო 1934 წლის შემოდგომაზე.

როგინსკი: რა გზით ცდილობდით ამ უსაზიზღრესი დანაშაულის განხორციელებას?

შესტოვი: მოლოტოვის მოკვლა დავალებული ჰქონდა პროკოპიევსკის ტროცკისტული ჯგუფის ხელმძღვანელ ჩერეპუხინს; ძველ ტროცკისტს, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაბოროტებულსა და მორალურად გახრწნილს. ჩერეპუხინს მოლოტოვი უნდა მოეკლა შახტში ან მოეწყო იმ მანქანის კატასტროფა, რომლითაც მოლოტოვი მგზავრობდა. ასე იყო მოწყობილი. შოფერად დავსვით ტერორისტი არნოლდი. მაგრამ არასაკმაო სისწრაფის გამო მანქანა გადაბრუნდა. კატასტროფა არ მოხდა. როცა მე ეს ვუამბე მურალოვს, მან ლოყლაპიები და ლაჩრები გვიწოდა.

ასე ხორციელდებოდა პირველი გზა—ტერორი.

სახელმწიფო ბრალმდებლის კითხვაზე,—ვინ იყო კუზბასში ტროცკისტების დივერსიული მოქმედების ხელმძღვანელი, შესტოვი აჩვენებს, რომ ხელმძღვანელად მე, შესტოვი ვიყავი და კავშირი მქონდა დასავლეთ-ციმბირის ტროცკისტული არალეგალური ცენტრის ხელმძღვანელთან — მურალოვთანო. თავის მუშაობას შესტოვი აწარმოებდა ფაშისტურ ორგანიზაციასთან ერთად, რომელსაც სტროილოვი მეთაურობდა და რომელიც გერმანიის ფაშისტებთან იყო დაკავშირებული.

ტროცკისტული ცენტრისაგან, უშუალოდ პიატაკოვისაგან და მურალოვის საშუალებით შესტოვმა მიიღო დავალება თავისი დამნგრევი მუშაობისათვის აუცილებლად მიემხრო საინჟინრო-ტექნიკური დარგის მუშაკები, პირველ რიგში დაყრდნობოდა კონტრრევოლუციურად განწყობილ ინჟინრებს და მარცხის შემთხვევაში—მთელი დანაშაული მავნებელი ინჟინრებისათვის დაეკისრებინა.

როგინსკი: გერმანელ ფაშისტ ინჟინრებთან კავშირიც ტროცკისტული ცენტრის კურსი იყო?

შესტოვი: დიახ, ეს ასეა.

სასამართლო გადადის მოწმე დრობნისის დაკითხვაზე. დრობნისი პასუხისგებაში მიცემულია სხვა საქმეზე. იგი კემეროვოში ჩამოვიდა შუა-აზიიდან 1934 წლის დამლევს. გამგზავრების წინ იგი ესაუბრა პიატაკოვს, რომელმაც გადასცა მას სმირნოვის დირექტივა, რომ იგი გამგზავრებულიყო დასავლეთ-ციმბირში ტროცკისტული მუშაობის ხელმძღვანელობისათვის. პიატაკოვთან შეხვედრა მოხდა მოსკოვში, პიატაკოვის ბინაზე. პიატაკოვმა განუცხადა დრობნისს, რომ დასავლეთ-ციმბირში იმყოფება მურალოვი, რომელიც დასავლეთ-ციმბირის ტროცკისტულ ცენტრს მეთაურობს, აგრეთვე ბოგუსლავსკი, მაგრამ ეს არ კმარა. დრობნისმა დახმარება უნდა გაუწიოს მათ. ამ შეხვედრისას დრობნისმა მიიღო მითითება ტერორისტული მუშაობის შესახებ.

როგინსკი: მაშასადამე, ამ შეხვედრისას თქვენ მიიღეთ მითითება დასავლეთ-ციმბირის მხარეში ტერორისტული მუშაობის გაშლის შესახებ და მურალოვთან, ბოგუსლავსკისთან და სუმეცკისთან, ე. ი. დასავლეთ-ციმბირის ცენტრის წევრებთან კავშირის შესახებ?

დრობნისი: დიახ, ეს მართალია. დასავლეთ-ციმბირში რომ ჩავედი, მე უწინარეს ყოვლისა შევხვდი მურალოვს, რომელმაც მითხრა, რომ იგი, მურალოვი, მუშაობს ტერორისტული აქტის მოსამზადებლად დასავლეთ-ციმბირის სამხარეო კომიტეტის მდივნის ეიხეს წინააღმდეგ, და ამ მუშაობას აწარმოებენ იგი და შესტოვი, რომელსაც თავისი საიმედო ხალხი ჰყავს.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს,—განაცხადა საუბრის დროს მურალოვმა, დახმარებას კემეროვოს მხრით და საჭიროა იქ საიმედო ჯგუფის შექმნაო.

1935 წლის გაზაფხულზე უკვე კემეროვოდან დრობნისი კვლავ გაემგზავრა პიატაკოვთან. ამ შეხვედრისას პიატაკოვმა უამბო მას ბერლინში შემდგარი თათბირის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პიატაკოვმა, სმირნოვმა და სედოვმა. ამ თათბირზე, როგორც დრობნისს პიატაკოვმა უამბო, განიხილეს პარტიის ბელადის—ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოხდენის საკითხები და დივერსიული მუშაობის ამოცანები.

როგინსკი: მაშასადამე, პიატაკოვთან ამ შეხვედრის დროს თქვენ გქონდათ მითითებანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის ორი ხაზის შესახებ: ტერორის მოწყობა პარტიისა და მთავრობის ბელადების წინააღმდეგ და სადივერსიო მუშაობის მოწყობა?

დრობნისი: დიახ.

დრობნისი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ შეუდგა იგი ამ პროგრამის განხორციელებას. ტროცკისტ-დივერსანტებმა მიიღეს დირექტივა — მთელი ყურადღება მიემართათ ძირითადი უბნებისაკენ — ქვანახშირი, ლითონი, ქიმია—თავდაცვა, მწყობრიდან გამოეყვანათ საწარმონი და შეესუსტებინათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. კემეროვოში მავნებლურ მუშაობას უკვე ეწეოდნენ ტროცკისტ-დივერსანტები ნორკინი და კარცევი. კემეროვოში დრობნისის ჩასვლის შემდეგ მავნებლური მუშაობის ხელმძღვანელობა მის ხელში გადავიდა. პიატაკოვმა, შეიტყო რა დრობნისის მუშაობა კემეროვოში, აცნობა—ახლა საჭიროა დაიწყოთ ქვანახშირის მრეწველობას, კუზბასს, რომელსაც კემეროვოს კომბინატის მომარაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და, ამგვარად, შექმნათ სადივერსიო მოქმედებათა ერთიანი კომპლექსიო.

როგინსკი: დაისვა თუ არა საკითხი, თუ რა საშუალებათა გამოყენებაც არ უნდა ყოფილიყო საჭირო, მწყობრიდან გამოგეყვანათ მთელი საწარმოები?

დრობნისი: მან ამას მთავარი ყურადღება მიაქცია.

როგინსკი: აფეთქების, ხანძრის გზით?

დრობნისი: დიახ.

შახტებში მავნებლური კონტრრევოლუციური მუშაობისათვის დრობნისმა ღირსეული თანაშემწე ჰპოვა კონტრრევოლუციონერ - ტროცკისტ ნოსკოვის სახით. დრობნისი აცნობს ნოსკოვს სადივერსიო მუშაობას. ნოსკოვი ღებულობს მითითებებს. 1935 წლის ოქტომბერს დრობნისი იგებს შესტოვისაგან პეშეხონოვის კონტრრევოლუციური ფაშისტური ჯგუფის არსებობას და მითითებებს აძლევს ნოსკოვს დაუკავშირდეს ამ ჯგუფს.

დრობნისი ასწავლის ნოსკოვს: „ტროცკი თვითონ სარგებლობს ფაშისტური გერმანიის განსაზღვრული ორგანოების მომსახურებით და ამიტომ საბუთი არა გვაქვს რამეს მოვერიდოთ. ასეთი კავშირი უნდა დავამყაროთო".

როგინსკი: თქვენი დავალებანი—აფეთქებანი, დივერსია და ძალადობა—შეასრულა ნოსკოვმა?

დრობნისი: შეასრულა.

როგინსკი: მაშასადამე, შახტში მომხდარი აფეთქებანი, ათობით მოკლული და დასახიჩრებული მუშები შედეგია იმ გზისა, რომელიც თქვენ, როგორც კონტრრევოლუციური ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაციის ერთერთმა ლიდერმა, ნოსკოვს მიეცით?

დრობნისი: დიახ.

როგინსკი: მაშასადამე, რომ შევაჯამოთ შედეგები, შეგვიძლიან ისინი შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ტერორი პარტიისა და მთავრობის ბელადების, ხელმძღვანელების წინააღმდეგ, მუშების მკვლელობა, ყველაზე უფრო მწვავე დივერსიები საწარმოებსა, ფაბრიკებსა და ქარხნებში — ასეა, არა?

დრობნისი: დიახ, ასეა.

როგინსკი: ასეთია ხაზი, მიღებული ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაციის საკავშირო ცენტრის მიერ საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში?

დრობნისი: დიახ.

როგინსკი: ამის განსახორციელებლად — ბლოკი ფაშისტურად განწყობილ ელემენტებთან ჩვენი ქვეყნის შიგნით და ფაშისტთა იმ აგენტებთან, რომელნიც ჩვენში გარედან მოდიოდნენ. ხომ ასეა?

დრობნისი: დიახ, ეს ასეა.

ჩვენებას ართმევენ ბრალდებულ შტიკლინგს.

ბრალდებულ პეშეხონოვის, ანდრეევის, კოვალენკოს, ნოსკოვისა და ლიაშჩენკოს ჩვენებიდან ჩანს, რომ გერმანელი ინჟინერ-ფაშისტი შტიკლინგი, კემეროვოს მაღაროში მუშაობის დროს, მავნებლურ დირექტივებს აძლევდა შახტ „ცენტრალნაიას" კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ჯგუფს.

ბრალდებული ნოსკოვი აჩვენებს, რომ შტიკლინგი იყო მათი კონტრრევოლუციური ჯგუფის ფაქტიური ხელმძღვანელი.

ბრალდებული შტიკლინგი იძლევა დაწვრილებითს ჩვენებას თავის მავნებლურ მოქმედებაზე შახტ „სევერნაიაში", შემდეგ ის ლაპარაკობს თავის დანაშაულებრივ კავშირზე კემეროვოს მაღაროს ყოფილ მთავარ ინჟინერ პეშეხონოვთან, რომელსაც აძლევდა მავნებლური ხასიათის მთელ რიგ დავალებებს.

როგინსკი: თქვენ საბჭოთა კავშირში იმ მიზნით ჩამოხვედით, რომ საბჭოთა სახელმწიფოსათვის ვნება მოგეყენებინათ?

შტიკლინგი: დიახ, მავნებლური მუშაობისათვის.

როგინსკი: მაშასადამე თქვენ, სარგებლობდით რა სამსახურებრივი მდგომარეობით საბჭოთა ერთერთ საწარმოში, თვითონ ეწეოდით მავნებლურ მუშაობას?

შტიკლინგი: დიახ.

შემდეგ შტიკლინგი აჩვენებს, რომ მთელ თავის მავნებლურ მოქმედებას იგი ახორციელებდა მოფიქრებულად, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.

მოწმეების სტროილოვის, შესტოვის, დრობნისის დაკითხვით ირკვევა, რომ ტროცკისტები კარგად იყვნენ ინფორმირებული ფაშისტური აგენტების — შტიკლინგისა და არიმონტის დივერსანტული მუშაობის შესახებ. უკანასკნელთან ერთად ტროცკისტები ღებულობდნენ ზომებს იმისათვის, რომ აქტიური გაეხადათ კონტრრევოლუციური დამნგრევი მუშაობა შახტ „ცენტრალნაიას" ფაშისტურად განწყობილი ინჟინრებისა.

სახელმწიფო ბრალმდებელი **როგინსკი** მიმართავს ბრალდებულ შტიკლინგს და ეკითხება:

— რით ხელმძღვანელობდით თქვენს მავნებლურ მუშაობაში?

შტიკლინგი: მე ვფიქრობდი, რომ ამით ვეხმარებოდი ფაშიზმს.

როგინსკი: მაშასადამე, თქვენი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში დაკავშირებულია გარკვეულ მიზანთან—მოგეწყოთ აქ მავნებლური აქტები?

შტიკლინგი: დიახ.

ილაპარაკა რა შემდეგ თავისი მავნებლური მუშაობის შესახებ, შტიკლინგმა დაასახელა ერთერთი უცხო სახელმწიფოს თანამდებობის პირი, რომელიც ცხოვრობდა ნოვოსიბირსკში.

თავმჯდომარე ამხ. ულრიხი აჩერებს ბრალდებულ შტიკლინგს და აცხადებს: იმის გამო, რომ ბრალდებულმა შტიკლინგმა დაასახელა ერთერთი უცხო სახელმწიფოს თანამდებობის პირი და რომ ბრალდებულმა შტიკლინგმა გამოსთქვა სურვილი მოგვცეს ახსნა-განმარტებანი თავისი დანაშაულებრივი კავშირის შესახებ ამ პირთან, სასამართლო რ. ს ფ. ს. რ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეცხრამეტე მუხლის საფუძველზე იდგენს, რათა შტიკლინგის შემდგომი დაკითხვა მოხდეს დახურულ კარებში.

აცხადებენ შესვენებას შემდეგი დღის დილამდე.

21 ნოემბრის დილის სხდომა

ნოვოსიბირსკი, 21 ნოემბერი (საქტესი). სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიის დილის სხდომა 21 ნოემბერს იწყება შახტმშენის რაიონულ ინჟინრად მომუშავის, მოწმე გორიცკის დაკითხვით. მოწმე დაწვრილებით ჩამოსთვლის შახტ „სევერნაიას" მშენებლობის დიდ დეფექტებს.

როგინსკი: ვინ არის, თქვენის აზრით, დამნაშავე ყველა ამ უმსგავსობაში?

გორიცკი: შტიკლინგი, რომელსაც შახტის მთავარი ინჟინრის თანამდებობა ეჭირა.

როგინსკი: მიმართავს რა ბრალდებულ შტიკლინგს, ეკითხება: — ადასტურებთ თუ არა მავნებლური საქმიანობის შესახებ გუშინ სასამართლოს ღია სხდომაზე თქვენ მიერ მოცემულ ჩვენებას?

შტიკლინგი: დიახ.

როგინსკი: ადასტურებთ თუ არა, რომ გარდა მავნებლობისა შახტ „სევერნაიაში", თქვენ ხელმძღვანელობდით პეშეხონოვისა და მისი ჯგუფის მავნებლურ საქმიანობას შახტ „ცენტრალნაიაში"?

შტიკლინგი: ვადასტურებ.

როგინსკი: ადასტურებთ თუ არა სასამართლოს დახურულ სხდომაზე თქვენ მიერ მიცემულ ჩვენებას, რომ შვებულებაში ვამგზავრების დროს თქვენ გესტაპოში იყავით?.

შტიკლინგი: დიახ, მე ვიყავი და ლაპარაკი მქონდა გესტაპოს ერთ მოსამსახურესთან.

როგინსკი: ადასტურებთ თუ არა, რომ გესტაპოს ამ მოსამსახურესთან თქვენ ლაპარაკი გქონდათ თქვენ მიერ ჩადენილი მავნებლური აქტების შესახებ საბჭოთა კავშირში?

შტიკლინგი: დიახ, ამის შესახებ მქონდა ლაპარაკი.

როგინსკი: ადასტურებთ თუ არა დახურულ სხდომაზე თქვენ მიერ მიცემულ ჩვენებას, რომ მთელ მავნებლურ მუშაობას თქვენ ატარებდით უცხოეთის ერთი სახელმწიფოს თანამდებობის პირის პირდაპირი დავალებით, რომელიც ნოვოსიბირსკში ცხოვრობდა?

შტიკლინგი: დიახ.

ამის შემდეგ სასამართლო გადადის იმ ეპიზოდის გამორკვევაზე, რომელიც დაკავშირებულია ხანძრისა და მუშების განზრახ მოწამვლის მომზადებასთან, რაც განხორციელდა 1935 წლის 28 დეკემბერს. ამ ეპიზოდის გამორკვევა იწყება ბრალდებული შუბინის დაკითხვით.

როგინსკი: გვითხარით, ბრალდებულო, მუშების პირუგინისა და პორშნევის მოწამვლა, რომელიც 1935 წლის 28 დეკემბერს მოხდა, იყო თუ არა განზრახ მოწყობილი?

შუბინი: დიახ, განზრახ იყო.

როგინსკი: ორი მუშის ეს მკვლელობა წინასწარი განზრახვით თქვენმა კონტრრევოლუციურმა ჯგუფმა მოახდინა?

შუბინი: დიახ.

როგინსკი: ვინ იყო ამ სადივერსიო აქტის შემსრულებელი?

შუბინი: ლეონენკო და მე — მისი თანაშემწე. ჩვენ ვმოქმედებდით პეშეხონოვის პირდაპირი დავალებით. პეშეხონოვი კი, თავის მხრივ, ასრულებდა ნოსკოვის კატეგორიულ მოთხოვნას.

შუბინი შემდეგ აღნიშნავს, რომ კატასტროფის შედეგები გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა მხოლოდ გამოცდილი მნგრეველ - სტახანოველის ველიკანინის წყალობით. ველიკანინმა, შეამჩნია რა საფრთხე, შესძლო მუშების თვალსაჩინო ნაწილი გამოეყვანა სახიფათო სანგრევებიდან.

ბრალდებულნი ლეონენკო, ანდრეევი, ნოსკოვი, პეშეხონოვი ადასტურებენ შუბინის ჩვენების სისწორეს და აცხადებენ, რომ ყველა ისინი განზრახ ამზადებდნენ მუშების მასობრივ მკვლელობას.

მიმართავს რა ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარეს ამხ. გორბაჩევს, სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. **როგინსკი** ეკითხება:

— გქონდათ თუ არა შესაძლებლობა მოგეცათ დასკვნა 28 დეკემბერს მომხდარი კატასტროფის ნამდვილი მიზეზის შესახებ?

გორბაჩევი: დიახ, მე გამოვარკვიე, რომ კატასტროფის მიზეზი მდგომარეობს სამთო სამუშაოთა არასწორ წარმოებაში, რის შედეგადაც სანგრევებში შევიდა გაზი, რომელმაც მუშები დაახრჩო.

ექსპერტი შემდეგ აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ კატასტროფის წინადღეს — 27 დეკემბერს შახტში შემჩნეული იყო მუშების მოწამვლა, რაც კატეგორიულად აბათილებს ვერსიას, თითქოს გაზი კატასტროფის დღეს უეცრად გაჩენილიყოს.

შემდეგ სასამართლო გადადის მეორე ეპიზოდის გამორკვევაზე, ესაა აფეთქება შახტ „ცენტრალნაიაში", რაც მოხდა 23 სექტემბერს. ამ საქმეზე დასკვნით გამოდის ექსპერტი გრინდლერი.

როგინსკი: თქვენის აზრით, სანგრევებში გაზის შეშვება დაუდევრობის შედეგი იყო თუ ბოროტი განზრახვისა?

გრინდლერი: ჩემს ხელთ არსებული მასალიდან ის დასკვნა უნდა გამომეყვანა, რომ მუშაობა შახტ „ცენტრალნაიაში" დანაშაულებრივად სწარმოებს. ამაზე მე ვილაპარაკე სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექტორთა თათბირზე.

ექსპერტის დასკვნის შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული ანდრეევი.

როგინსკი: გვითხარით, შემთხვევით ხომ არ მომხდარა 23 სექტემბრის აფეთქება?

ანდრეევი: არა, შემთხვევით არ მომხდარა. ეს იყო ჩვენი ორგანიზაციის სადივერსიო მუშაობის შედეგი.

როგინსკი: განზრახ ამზადებდა თუ არა თქვენი ორგანიზაცია ამ აქტს, ისე როგორც ზოგიერთ სხვა აქტს?

ანდრეევი: დიახ. ჩვენ მუშაობას ისეთი ანგარიშით ვაწარმოებდით, რომ შახტი მუდამ აფეთქების მუქარის ქვეშ ყოფილიყო. ტროცკისტი ნოსკოვი, რომელიც ჩვენს ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, კატეგორიულად მოითხოვდა, რათა ჩვენ მოგვეხდინა ჩვენი კონტრრევოლუციური მავნებლური მუშაობის აქტივიზაცია.

ანდრეევის ჩვენების სისწორეს ადასტურებენ ბრალდებულნი ლიაშჩენკო, კოვალენკო და ლეონენკო.

მიმართავს რა ბრალდებულ ნოსკოვს, სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. **როგინსკი** ეკითხება:

— თქვენ სავსებით შეგნებულად და მოფიქრებულად დაადექით მუშების მასობრივი მკვლელობის გზას, რადგან გამოდიოდით თქვენი კონტრრევოლუციური ტროცკისტული იდეიდან და გამსჭვალული იყავით სიძულვილით საბჭოთა ხელისუფლებისა და მუშათა კლასისადმი?

ნოსკოვი: დიახ.

11 საათსა და 45 წუთზე ცხადდება დასვენება.

დურუტის მოკვლა

ტელეფონით „პრავდის" სპეციალური კორესპონდენტისაგან).

სამწუხარო ამბავმა დაალონა რესპუბლიკური მუშური მადრიდის დამცველთა რიგები. ავტომობილიდან გადმოსვლის დროს მადრიდის გარეუბანში თავისი სასარდლო პუნქტის შენობის წინ ფარული მკვლელის ტყვიით სასიკვდილოდ დაიჭრა გულში და გარდაიცვალა ანარქისტულ - სინდიკალისტური მოძრაობის უდიდესი მოღვაწე ბუენავენტურა დურუტი.

კატალონიის კოლონის მეთაური დურუტი რამდენიმე დღის წინათ ჩამოვიდა მადრიდის მშრომელთათვის ძმური დახმარების გასაწევად დედაქალაქის დაცვაში. დურუტი, უეჭველად იყო, კატალონიის და მთელი ესპანეთის მუშათა მოძრაობის ერთერთი უთვალსაჩინოესი ფიგურა. რწმენით მტკიცე ანარქისტი, იგი ჯერ კიდევ ფაშისტური ამბოხების მომენტში მატარებელი იყო მრავალი შეცდომისა, რომელნიც ხელს უშლიდნენ მუშათა კლასის საბრძოლო ერთიანობას კატალონიაში.

მე ვწერდი მასთან პირველი შეხვედრის შესახებ სარაგოსის ფრონტზე. დურუტი უკვე მაშინ სახალხო ფრონტის აქტიური მებრძოლი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა მას ზოგიერთი კუთხური და სექტანტური შეხედულება. ანტიფაშისტური ბრძოლის ლოგიკამ ეს პატიოსანი და გაბედული ადამიანი მიიყვანა ხალხის მტრების წინააღმდეგ ერთიანი ორგანიზებული სახალხო ბრძოლის ერთადერთ სწორ პოზიციამდე.

მუშათა კლასის მტრებისათვის დიდად სამწუხარო იყო ამ მამაცი მგზნებარე ადამიანის გამოჩენა თავისი მომხრეების — კატალონელების სათავეში მადრიდის კარიბჭეებთან.

ბუენავენტურა დურუტის ცხოვრების გზა და მისი სახელოვანი სიკვდილი შეიძლება ჩაითვალოს იმის სიმბოლოდ, თუ როგორ ერთიანდება ადრე თუ გვიან კაპიტალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველივე პატიოსანი, შეგნებული ელემენტი, რაც კი მოიპოვება მუშათა კლასში.

დურუტის დაკრძალვა მოხდება ბარსელონაში.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის მდივანმა ხოზე დიასმა შემდეგი წერილით მიმართა ანარქისტების ხელმძღვანელს გარსია ოლივერს:

„ღრმა მწუხარება გამოიწვია ჩვენს რიგებში ჩვენი საერთო ამხანაგისა, მუშათა კლასის ღირსეული შვილის, პროლეტარული ერთიანობის ენტუზიასტის და თავდადებული დამცველის დურუტის სახელოვანი სიკვდილის ამბავმა.

ფაშისტი ბანდიტების ტყვიამ შესწყვიტა ახალგაზრდა, მაგრამ თავგანწირულობით აღსავსე სახელოვანი სიცოცხლე. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ, ვიდრე ოდესმე, გაერთიანებული ვართ მადრიდის დასაცავად, რათა სრულებით გავანადგუროთ ფაშისტური ბანდები, რომელნიც სისხლით რწყავენ ჩვენს ქვეყანას.

ერთიანი ბრძოლისათვის საბოლოო გამარჯვებამდე ესპანეთის ყველა ფრონტზე!

შევენაცვლოთ ჩვენს გმირებს!

ხალხური ესპანეთის სრული ტრიუმფისათვის!".

○

ღამით და დილით ძლიერი წვიმაა. ამიტომ მაღლა, ჰაერში სიმშვიდეა, ძირს კი ნერვიულობა.

ორივე მხარის ბარიკადები განლაგებულია კარაბანჩელში, ალაგ-ალაგ 30 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებულნი. სიბნელეში მოწინააღმდეგენი გადასძახებენ ხოლმე ერთიმეორეს:

— ბანდიტებო!

— დუმილი. შემდეგ პასუხი:

— ძირს კომუნიზმი!

დილიდანვე რესპუბლიკელთა ნაწილებმა ენერგიული იერიშები მიიტანეს კაზა დელ კამპოს და ტოლედოს ხიდის რაიონში.

დღევანდელ ბრძოლებში განსაკუთრებით თავი ისახელა მამაცობით გერმანელ ანტიფაშისტ — მუშათა ათეულებმა.

მიხ. კოლცოვი.

მადრიდი, 21 ნოემბერი.

○ ◇

იაპონიის აგენტ ვან-ინის შტაბის დაკავება

ბეიპინი, 21 ნოემბერი. (საქტესი). გაზეთები იუწყებიან, რომ 18 ნოემბერს შანსის ჯარების ცხენოსანმა ნაწილებმა კონტრიერიშის შედეგად შესძლეს დაეპყრათ პუნქტი ტალაჰუნი, სადაც იმყოფებოდა „მონღოლეთის ჯარების" ერთერთი სარდლის — იაპონიის აგენტ ვან ინის შტაბი. ჩინელებმა ხელთ იგდეს შტაბის ბევრი დოკუმენტი. ვან ინი და მისი იაპონელი მრჩევლები სასწრაფოდ გაიქცნენ ავტომობილებით. ტყვედ წამოყვანილია 100-ზე მეტი ჯარისკაცი.

სენტრალ ნიუსის სააგენტო სწერს, რომ ჩინეთის ჯარები ორი მხრიდან მიიწევენ ქალაქ შანდუსაკენ (ჩახარის დასავლეთ ნაწილში) და ცდილობენ დაანგრიონ იაპონია-მანჯურია-მონღოლეთის ჯარების ეს ბაზა. გაზეთების გადმოცემით, 18 ნოემბერს შანდუნში ჩანჩუნიდან (მანჯუგო) ჩავიდა კვანტუნის არმიის შტაბის ოფიცერი.

○ ◇

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს სხდომა

პარიზი, 22 ნოემბერი. (საქტესი). გუშინ შესდგა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა შინაგან საქმეთა მინისტრ სალანგროს ტრაგიკულად გარდაცვალების საკითხი.

პოლიტბიურო მოითხოვს დაინიშნოს კვლევა-ძიება, რათა გამოირკვეს გერმანიის საიდუმლო პოლიციის როლი იმ დანაშაულებრივ კამპანიაში, რომელსაც ეწეოდა ფაშისტური პრესა და განსაკუთრებით გაზეთი „გრენგუარი" სალანგროს წინააღმდეგ.

პოლიტბიურომ აგრეთვე მოითხოვა „გრენგუარის" აკრძალვა, სალანგროს წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის სულისჩამდგმელთა სამართალში მიცემა და ფაშისტური ლიგების ნამდვილად დაშლა.

შემდეგ პოლიტბიურომ განიხილა ესპანეთის ამბები და გადასწყვიტა გააძლიეროს კამპანია რესპუბლიკური ესპანეთისათვის ბლოკადის მოხსნის სასარგებლოდ.

ძმობისა და სოლიდარობის დოკუმენტი

დურუტის წერილი სსრ კავშირის მუშებისადმი.

ესპანეთის მეორე დელეგაციაში, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა 10 ნოემბერს, იმყოფება დურუტის მახლობელი მეგობარი ფრანსისკო კარენიო, რომელიც მისი ხელმძღვანელობით იბრძოდა ფაშისტ მეამბოხეების წინააღმდეგ. ფრანსისკო კარენიომ თან ჩამოიტანა დურუტის წერილი — მისალმება სსრ კავშირის მუშებისადმი. წერილში ნათქვამია:

„შრომის ნაციონალური კონფედერაცია.
ანარქისტთა იბერიის ფედერაცია.
ანტიფაშისტური მილიცია.
დურუტის კოლონა.
გენერალური შტაბი.
საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს.
ამხანაგებო!

ვსარგებლობ ამ წერილით, რათა ძმური სალამი შემოგითვალოთ თქვენ არაგონის ფრონტიდან, სადაც ათასობით თქვენი ძმები იბრძვიან ისევე, როგორც თქვენ იბრძოდით 20 წლის წინათ იმ კლასის განსათავისუფლებლად, რომელსაც ჩაგრავდნენ და ამცირებდნენ საუკუნეთა განმავლობაში. 20 წლის წინათ რუსეთის მშრომელებმა აღმოსავლეთში ააფრიალეს წითელი დროშა — საერთაშორისო პროლეტარიატის ძმობის სიმბოლო. თქვენ იმედს ამყარებდით საერთაშორისო პროლეტარიატზე და მოელოდით მისგან დახმარებას თქვენ მიერ დაწყებულ დიად საქმეში. მთელი მსოფლიოს მშრომელებს არ გაუცრუებიათ თქვენი ნდობა. ისინი თავგანწირულად გეხმარებოდნენ თქვენ თავისი ძალღონისამებრ.

ამჟამად დასავლეთში იბადება ახალი რევოლუცია და ფრიალებს დროშა. ეს დროშა წარმომადგენელია იმ იდეალისა, რომელიც ძლევამოსილად აერთიანებს ძმურ კავშირად ორ ხალხს და რომელთაც ცარიზმი და დესპოტური მონარქია სჩაგრავდნენ. დღეს, ჩვენ გენდობით თქვენ, სსრ კავშირის მშრომელნო, ჩვენი რევოლუციის დაცვას, არ ვენდობით რა არავითარს ეგრეთწოდებულს დემოკრატიულ, ან ანტიფაშისტ - პოლიტიკოსებს. ჩვენ ვენდობით ჩვენს კლასობრივ ძმებს, რადგან მხოლოდ მშრომელებს შეუძლიათ დაიცვან ესპანეთის რევოლუცია ისევე, როგორც ჩვენ 20 წლის წინათ ვიცავდით რუსეთის რევოლუციას.

გვერწმუნეთ, ჩვენ ნამდვილი მუშები ვართ და არაფრის გულისთვის არ შევაქცევთ ზურგს ჩვენს პრინციპებს და არ შევარცხვენთ შრომის იარაღებს, რომელნიც წარმოადგენენ მშრომელთა კლასის სიმბოლოს.

სალამი ყველა იმათგან, ვინც იარაღით ხელში იბრძვის ფაშიზმის წინააღმდეგ არაგონის ფრონტზე.

თქვენი ამხანაგი
(ხელმოწერა)
ოსერა, 22 ოქტომბერი, 1936 წ.

(„პრავდა", 22 ნოემბერი.

ესპანეთის მთავრობის ჯარების მებრძოლნი კითხულობენ მადრიდის ახალ გაზეთს (სოიუზფოტო)

პარტიულ თემაზე

კონსპექტების შესახებ

პარტიულ სკოლებში კონსპექტების შედგენის საკითხი ჯეროვანობით ყველგან ვერ არის მოგვარებული. მთელი რიგი პარტიული კომიტეტები ღებულობენ ღონისძიებებს, ავალებენ პროპაგანდისტს, რომ მან მოსთხოვოს ყველა მსმენელს კონსპექტები, ასწავლოს კონსპექტების შედგენა და სხვ. პროპაგანდისტებიც ასრულებენ პარტიულ დავალებას და აწერინებენ მსმენლებს კონსპექტებს.

ხშირად მსმენელებს სახელმძღვანელოსთან ერთად აქვთ რვეული, რომელშიც ჩაწერილია მორიგი თემისათვის სათანადო კონსპექტი, რა თქმა უნდა, როგორც წესი, პროპაგანდისტი ამ კონსპექტებს არ სინჯავს უკეთეს შემთხვევაში ორიოდე მსმენელის კონსპექტს გადაათვალიერებს და მოკლედ მიუთითებს ნაკლოვანებებზე. ამით ამოიწურება კონსპექტების შემოწმება და ამგვარად პოლიტსკოლის მუშაობა კონსპექტების შედგენის მხრივ „მაღალხარისხოვნად" ფასდება. სინამდვილეში კი, თუ დავაკვირდებით და შევისწავლით მსმენელების კონსპექტებს, დავრწმუნდებით, რომ ძალიან მცირეა რიცხვი კონსპექტებისა, რომელთა ხარისხიც დამაკმაყოფილებელია.

ასეთი მდგომარეობაა არა მარტო დაბალი ტიპის პოლიტსკოლებში, არამედ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეებშიაც, სადაც სწავლობ ნორინის სახელმძღვანელოს მიხედვით.

თბილისის ორგანიზაციაში მოიპოვება მრავალი კარგი პოლიტსკოლა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი პროპაგანდისტები, მაგრამ ამ კარგ სკოლებშიც კონსპექტების შედგენის საკითხი ვერ იყო საწორად გადაჭრილი. მაგალითად ამხ. ასლამაზოვის პოლიტსკოლაში (ფეხსაცმლის ფაბრიკა № 2) პოლიტმეცადინეობა შედარებით კარგად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. ამ პოლიტსკოლაში ჩვენ დავინახეთ, რომ მსმენელები კონსპექტებს ვერ ადგენენ ისე, როგორც ეს საჭიროა. უმრავლესობას კი სრულებით არ ეხერხება მათი შედგენა. ასეთი მსმენელები ფიქრობენ: „ნეტა ამ კონსპექტებს არ მაწერინებდნენ — ყველაფერს დავძლევ, წავიკითხავ, დავიმახსოვრებ, შევისწავლი, მაგრამ ამ კონსპექტებმა ძალიან შემაწუხაო".

მათთვის, მართლაც, კონსპექტების შედგენა წარმოადგენს დიდ სიძნელეს. მიუხედავად ამისა, პარტიული კომიტეტიდან მოდის მტკიცე დირექტივა — ყველა მსმენელს ჰქონდეს კონსპექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი მოეთხოვება როგორც პროპაგანდისტს, ისე თვითეულ მსმენელს. იყო ცალკეული შემთხვევები, როცა მსმენელებს პოლიტსკოლის მეცადინეობაზე არ უშვებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შედგენილი არ ჰქონდათ კონსპექტი მორიგი თემისათვის (საქ. სას.-სამ. ინსტიტ.)

ასეთი სასტიკი ზომებით ცდილობენ აიძულონ მსმენლები აუცილებლად დასწერონ კონსპექტები. პროპაგანდისტს ავალებენ შეასწავლოს მსმენელებს კონსპექტის წერა. ამისათვის აწყობენ რიგსგარეშე სპეციალურ მეცადინეობას. უმეტეს შემთხვევაში ფიქრობენ, საკმარისია ერთი ან ორი მეცადინეობა, რომ კონსპექტის შედგენის ტექნიკა ათვისებულ იქნასო, და ამის შემდეგ ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი უკვე თავს უფლებას აძლევს მოსთხოვოს ყველა მსმენელს მაღალხარისხოვანი კონსპექტები.

ასეთი მიდგომა კონსპექტების შედგენაში ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, უდავოა, რომ კონსპექტების შედგენა ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეა ყველა მსმენელისათვის, მაგრამ როდესაც ამ საკითხში ტრაფარეტულად უდგებიან ყველა სკოლას და ყველა მსმენელს, მიუხედავად მათი ცოდნისა, უნარიანობისა, ამ საქმის ტექნიკის ათვისებისა, აქ ჩადიან შეცდომას. არ შეიძლება ძალა დავატანოთ მსმენელს შეადგინოს კონსპექტი, თუ მან ჯერ კარგად არ იცის წერა და საერთოდ არა აქვს ათვისებული წიგნზე მუშაობა. არ შეიძლება ყველა მსმენელს, მიუხედავად მისი მომზადებისა, დავავალოთ დასწეროს კონსპექტი, ე. ი. წაკითხულის მოკლე შინაარსი. როდესაც ასეთი მოთხოვნა სავალდებულოდ არის მიჩნეული, მსმენელი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუძლია დალაგებით, მოკლედ, თავისი ენით აღნუსხოს დამუშავებული მასალა, ხშირად მიმართავს შემდეგ ხერხს: წიგნიდან გადასწერს ცალკე წინადადებებს ისე, როგორც იქ სწერია, ხშირად გადასწერს ნახევარ გვერდს და ამნაირად გადარჩება პროპაგანდისტის ან პარტიული კომიტეტის მდივნის საყვედურს.

რა ფასი აქვს ასეთ „კონსპექტს". ბოლო უნდა მოეღოს ტრაფარეტობას, შაბლონს და სტანდარტს. პოლიტსკოლების მუშაობაში კონსპექტების შედგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. კონსპექტი — ეს არის ერთერთი საშუალება, რათა გაადვილებულ იქნეს მასალის დამუშავება, გეგმიანად დალაგება და მისი დამახსოვრება. მისი შედგენა შეიძლება სავალდებულო გახადონ იმ შემთხვევაში, როდესაც ამხანაგს კარგად აქვს ათვისებული ეს საქმე. ისმის კითხვა: მაშ, გამოდის, რომ უკუგდებულ უნდა იქნეს კონსპექტი პოლიტსკოლების უმრავლესობაში რადგან კარგად მცოდნე ამხანაგები ცოტანი მოიპოვებიან?

არც ეს იქნება სწორი. საქმე ის არის, რომ ზოგ ამხანაგს ასე წარმოუდგენია: რაკი ლაპარაკია კონსპექტებზე, მაშასადამე, კონსპექტი შედგენილ უნდა იქნას ყველა იმ მოთხოვნის დაცვით, რომელიც ახასიათებს ნამდვილ კონსპექტს ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იმ მსმენელებისათვის, რომლებსაც ეს საქმე უძნელდებათ და ჯერ იგი ათვისებული არა აქვთ, საკმარისი იქნება (რა თქმა უნდა, პირველ ხანებში), რომ ისინი შევაჩვიოთ გეგმა — კონსპექტის შედგენას: მაგალითად ჩამოსწერონ მთავარი საკითხები, ფაქტები, ისტორიული პირები, რომლების დამახსოვრებაც საჭიროა, მათი მოკლე დახასიათება და სხვ. როდესაც ამხანაგი ასეთი მოკლე კონსპექტის შედგენას კარგად აითვისებს, შემდეგი საფეხური უნდა იქნეს უკვე ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის კონსპექტურად დალაგება.

მაშასადამე, კონსპექტების შედგენა უნდა იქნეს ინდივიდუალური, ცოდნის მიხედვით, თანდათანობით ათვისებული და არა ისე, როგორც დღეს ხშირად არის ხოლმე: პროპაგანდისტი ორ მეცადინეობას ჩაატარებს, აუხსნის კონსპექტის შედგენის წესს და შემდეგ კონსპექტის შედგენა სავალდებულოდ მიაჩნიათ. ასეთი მუშაობა ხალისს უკარგავს თვით კონსპექტის შედგენის შესწავლასაც. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ კონსპექტის კარგად შედგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასალის კარგად ათვისებას — ეს არის მხოლოდ საშუალება ამ მასალის ათვისებისათვის.

მეტი სიფხიზლე კონსპექტების შედგენის საქმეში, უკუგდება ტრაფარეტობისა და შაბლონისა, უარყოფა ყველა მსმენლის მიერ კონსპექტის იძულებით შედგენისა — მხოლოდ ასეთი დაკვირვებული მიდგომით შევუქმნით ყველა მსმენელს კარგ პირობებს წარმატებით აითვისოს მარქს - ენგელს - ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება.

ი. რუხაძე

ჭიათურას მარგანეცის ამხ. ბერიას სახელობის მაღაროს პარტკაბინეტი პარტიის წევრებსა და უპარტიო-მაღაროელ მუშებს შორის დიდ პოლიტიკურ საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა.
სურათზე: პროპაგანდისტი ამხ. ავქსენტი გოცაძე მაღაროს ახალგაზრდა მუშებს ესაუბრება ფაშისტების წინააღმდეგ ესპანელ მშრომელთა გმირული ბრძოლის შესახებ.

ფოტო კალეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

ჩვენც გავხდებით მილიონერი

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებში საერთო კრებებზე მასობრივად მუშავდება საკითხი, თუ როგორ გახდა ასურეთის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა მილიონერი. მასალები ასურეთის მილიონერ კოლმეურნეობაზე გამოქვეყნდა „კომუნისტის" 12 ოქტომბრის ნომერში. ამ მხრივ სანიმუშო ინიციატივა გამოიჩინა ჩაისუბნის კოლმეურნეობამ „სოციალ ზმისაკენ"-მა. აქ მასალების გამოქვეყნებისთანავე მოიწვიეს კოლმეურნეთა საერთო კრება და გაეცნენ იმას, თუ როგორ გახდა ასურეთის კოლმეურნეობა მილიონერი.

კამათში გამოსული სტახანოველი კოლმეურნეები: გიორგი ბერაძე, თამარ ბოლქვაძე, ყარამან ბოლქვაძე და სხვები აცხადებდნენ, ჩვენც უნდა მივბაძოთ ასურეთის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას. სახელდობრ, კიდევ უფრო განვამტკიცოთ კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა, ვიმუშაოთ სტახანოვურად, ურყევად გავატაროთ არტელის სტალინური წესდების ყოველი მუხლი და შევასრულოთ მოცემული სამუშაო როგორც რაოდენობის მხრივ, ისე ხარისხობრივად.

ასურეთში თუ გაადიდეს მარცვლეულის, ღვინის, კარტოფილისა და სხვა კულტურების მოსავალი და გახდნენ მილიონერი, ჩვენც არ უნდა ჩამოუვარდეთ მათ. თვალისჩინივით უნდა მოვუაროთ ჩაის თვითეულ ბუჩქს და მთელი მუშაობა წარვმართოთ არტელის სტალინური წესდების საფუძველზე. მაშინ ჩვენც გავხდებით მილიონერი.

ამასთანავე კოლმეურნეები აღნიშნავდნენ მევენახეობის განვითარების პერსპექტივებს ამ კოლმეურნეობაში და სიტყვას იძლეოდნენ, რომ ჩაისთან ერთად მაგრად მოჰკიდებენ ხელს მევენახეობასაც, რადგან საამისოდ ყველა პირობა არსებობს.

ვ. უნგიაძე

მოწინავეთა რიგებში

ს. ჩაისუბნის კოლმეურნეობა (ჩოხატაურის რაიონი) რაიონში მოწინავედ ითვლება; იგი აღებულ ვალდებულებებს საუკეთესოდ ასრულებს. წელს ჩაისუბნის კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის გეგმა 105,4 პროც. შეასრულა. გეგმის თანახმად მას სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 2789 კილოგრამი ჩაი, ფაქტიურად ჩააბარა 2934,2 კილოგრამი.

კოლმეურნეობას ჰყავს სტალინური ეპოქის ღირსეული შვილები, რომლებიც ჩაის კრეფაში სტახანოველის საპატიო სახელს ატარებენ. ასეთებია: თამარ ბოლქვაძე—ყოველდღიურად ჰკრეფს 30-32 კგრ. ჩაის ფოთოლს, როცა დღიური ნორმაა 10, კგრ. ნადია ჩხიკვაძე—ყოველდღიურად ჰკრეფს 28-30 კგრ. ჩაის ფოთოლს, ასეთივეა ნადია ბერაძე, ნორა პაიჭაძე და სხვ. ესენი ის ადამიანებია, რომლებიც ყველაზე მეტი ენტუზიაზმით იბრძვიან ნაკისრი ვალდებულებების სტახანოვურად შესრულებისათვის.

წელს ჩაი გეგმით გათვალისწინებული ორი ჰექტარის ნაცვლად დაითესა ოთხ ჰექტარზე. კოლმეურნეობამ წელს დარგო 500 ძირი მანდარინა. აქედან არცერთი ძირი არ გახმარა. დარგო აგრეთვე 3 ჰექტარი ტუნგოს ხე.

თუ დღემდე მოსახლეობის უმრავლესობა ისლით დახურულ ფაცხებში ცხოვრობდა, დღეს იშვიათად ნახავთ კოლმეურნეობის წევრს, რომ კოხტად დადგმულ და ლამაზად მორთულ ოდაში არ ცხოვრობდეს. წელს 10 კოლმეურნემ აიშენა ახალი ოდები. ესენია: ნიკიფორე პაიჭაძე, ყარამან ბოლქვაძე, გიორგი პაიჭაძე, კოსტა სახარულიძე, ამბაკო პაიჭაძე, ვასილ ბოლქვაძე და სხვ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტ. ჩხიკვაძე და საბჭოს თავმჯდომარე გ. წიქარიძე ბოლშევიკური პასუხისმგებლობით ეპყრობიან კოლმეურნეობის ყოველდღიურ საქმიანობას.

ა. პაიჭაძე.

გეგმის ზევით 7 მილიონი

(მახარაძე, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან).

შარშანდელთან შედარებით ციტრუსთა ნაყოფი წელს ყველგან ადრე დამწიფდა. კერძოდ მახარაძის რაიონში მანდარინის შერჩევითი კრეფა ნოემბრის პირველ რიცხვებში, ხოლო მასობრივი კრეფა და დამზადება 10 ნოემბრიდან დაიწყო.

რაიონის საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და დამამზადებელი ორგანიზაციები ამ კამპანიას მომზადებულნი შეხვდნენ. ვადაზე ჩატარდა კონტრაქტაცია და ავანსების გაცემა. შეკეთდა გზები და საწყობები, მოიმარაგეს ტარა და შესაფუთავი მასალა. ჩატარდა ფართო მასობრივი მუშაობა სპეკულიანტებისა და გადამყიდველების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ წინასწარმა მზადებამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. 18 ნოემბრისათვის რაიონს მარტო მანდარინი, გეგმით გათვალისწინებული 18.000.000 ცალის ნაცვლად, 18.280.000 ცალი ჰქონდა დამზადებული. ამავე რიცხვისათვის კოლმეურნეებს თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებიდან გეგმის ზევით სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჰქონდათ 2.172.000 ცალი მანდარინის ნაყოფი.

მშრომელი მოსახლეობა სახელმწიფოს დიდი ხალისით აბარებს ციტრუსთა მთელ სასაქონლო გამოსავალს. გურიანთის კოლმეურნეობის წევრმა მელიტონ მუჯირმა, კონტრაქტაციით გათვალისწინებული 18.000 ცალის ნაცვლად, ძიძიშ პუნქტს 31.305 ცალი მანდარინი ჩააბარა, მიხაკო ლომჯარიამ 1980 ცალის მაგივრად—6.075. ქრისტეფორე ლომჯარიამ (ლიხაური) 4-ჯერ, ხოლო ვასო ელიაძემ (ცხემლისხიდი) 6-ჯერ გადააჭარბა გეგმას. ასეთები მახარაძის რაიონში ძალიან ბევრია.

მრავალმა კოლმეურნემ წელს თვალსაჩინოდ გაადიდა მანდარინის მოსავალი. მაგალითად, კოლმეურნე ნესტორ მარგალიტაძემ (მერია) შარშან საკარმიდამო ნაკვეთზე 35.000 ცალი მანდარინი მოკრიფა, წელს კი სახელმწიფოს 85.000 ცალი მანდარინის ნაყოფს აბარებს. გიორგი თავბერიძემ, რომელმაც შარშან 60.000 ცალი მანდარინი დაამზადა, წელს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით 150.000 ცალის დამზადება იკისრა. „კონტრაქტაციის ზევით 10.000 ცალს მაინც ჩავაბარებთ", — აცხადებს იგი.

მახარაძის რაიონი ციტრუსებისაგან წელს 6,5 მილიონ მანეთს მიიღებს. არიან კოლმეურნეები, რომლებიც საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენებული მანდარინის ნაყოფის საფასურს რამდენიმე ათეულ ათას მანეთს ღებულობენ (გიორგი თავბერიძე, აქვსენტი ხომერიკი, კირილე ჩხაიძე, ყარამან მიმინოშვილი, მოსე ბოლქვაძე, ლადიკო ლომაძე და მრავალი სხვა).

დამზადება გრძელდება მახარაძის რაიონმა იკისრა გეგმის ზევით სახელმწიფოს ჩააბაროს 6-7 მილიონი ცალი ციტრუსთა ნაყოფი. ამ ბოლშევიკური თვითვალდებულების ანგარიშში 19 ნოემბერს მარტო მახარაძის, ნატანებისა და მერიის მიმღებმა პუნქტებმა 729.340 ცალი ხარისხოვანი მანდარინი დაამზადეს.

არის ხელისშემშლელი მიზეზები. პირველრიგში ეს უკვე დამზადებული და შეფუთული მანდარინის გაგზავნას შეეხება. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი დროზე არ გზავნის ადგილებზე განრიგს—თუ სად უნდა გაიგზავნოს დამზადებული მანდარინი. არც ვაგონებია საკმაო რაოდენობით. დამზადებულ 19 მილიონ მანდარინიდან 19 ნოემბრისათვის მხოლოდ 2.000.000 ცალი მანდარინი იყო გაგზავნილი დანიშნულებისამებრ. ნატანებსა, მერიასა, ურეკსა და მახარაძეში 27 ვაგონი მანდარინი ყუთებშია ჩაწყობილი და ვაგონებს ელოდება. კერძოდ ნატანების მიმღები პუნქტი გასაგზავნად გამზადებული მანდარინით ისე დატვირთულია, რომ ფარდულებში ნორმალური მუშაობა ფერხდება.

აღნიშნული საკითხების მოგვარებას სასწრაფოდ უნდა მიექცეს ყურადღება. ციტრუსები დაჩქარებით და დაუზიანებლად უნდა მიეწოდოთ მუშათა და კოლმეურნეთა სუფრას.

ტ. აცანიძე.

მარიკა მიქელაძე

ესპანელი დედა

წამოვიდა სქელი ბინდი, წამოვიდა ქალი,
წამოვიდა ყუმბარები, როგორც ქარიშხალი,
წამოვიდა... გადიშალა სისხლის ცხელი ფარჩა
და საყვარელ ქალაქიდან ნანგრევები დარჩა.

მწუხრი იყო, მძიმე მწუხრი, მთვარე არსად სჩანდა.
...ორი ვაჟი ჰყავდა დედას, ორივ გავდა ჭადარს.
რა შეაშრობს სისხლის ცრემლებს, დედის გულით ნაჟურს?
ერთი ვაჟი — მართალ საქმეს შეეწირა ვაჟურს.
ერთი ვაჟიც — მტრის ბანაკში ლაღად გაშლის აფრებს,
მშობელ მხარეს მტაცებელი ფრინველივით დაჰფრენს.

ეს მეორე, ნაბოლარა, დედის მკერდთან ზრდილი,
კარგად ახსოვს გააცილა უკანასკნელ დილით.
დღეს მიიღო შვილისაგან უცხო საჩუქარი:
ცეცხლი ციდან წამოსული, ულმობელი, ჩქარი,
შვილის ხელმა გადაშალა სისხლის ცხელი ფარჩა,
და საყვარელ ქალაქიდან ნანგრევები დარჩა.

სალამოა. და ნიავმა სისხლის სუნი დასძრა.
სალამოა. და ბინდები მოსდგომიან მკაცრად.
და ლანდები მოხუც დედას არ აძლევენ საშველს:
ხედავს ქალებს ნაძალადებს, ყელგამოჭრილ ბავშვებს,
ხედავს ლაფში ამოვლებულს სპეტაკ დროშის ნახევს,
ხედავს მხარეს ატირებულს, მამულს ნაპარტახევს,
და ლაღადებს თითქოს მიწაც სისხლის ღვარში შლილი:
— რად გაზარდე ულირსი და მოღალატე შვილი?

⁂

ღამე იყო, ბნელი იყო, მთვარე არსად სჩანდა.
დედა იდგა როგორც ძეწნა, შვილი გავდა ჭადარს.
და მათ შორის იდგა ბნელი მაღალ მთაზე მეტი.
— რად მოსულხარ მტრის ბანაკში, სთქვი, რა გინდა... დედი?

— მინდა გკითხო: რისთვის უმტრე ესპანეთის დედებს.
მინდა გკითხო: თუ სამშობლო როგორ გაიმეტე?
ისიც მითხარ, თუ სინდისი შეგრჩენია კიდევ,
ისიც მითხარ, ძმების სისხლი რამდენად გაყიდე?

— ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგებთ, აქეთანვე ვხედავ.
ზედმეტია ლაპარაკი, ულრაურო დედავ!
რა სამშობლოს მეუბნები. რა გულსა და სინდისს?
ჩემი გზები — ძალისა და დიდებისკენ მიდის...
ძმად არ ჩავთვლი უსახლკარო გლეხებსა და მუშებს.
ჩემი ძმაა — ვინც ხელმარჯვეთ ამ სამშობლოს უშენს...

⁂

რიჟრაჟია, მზე ღრუბლებში ენთება და ძალობს.
რით გათავდა საუბარი, ესპანელო ქალო?
რამ იელვა დედის ხელში, რამ შეღება მიწა?
...შვილი, ხალხის მოღალატე, დედის ფეხთით იწვა.

◆

წერილები რედაქციას

ლოზუნგებს ამახინჯებენ

ამხანაგო რედაქტორო!

სადღესასწაულო ბაზრობასთან დაკავშირებით, უამრავი ლოზუნგები იყო გამოკრული ქალაქის თვალსაჩინო ადგილებზე, განსაკუთრებით ტსოკ-ის მაღაზიების წინ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ლოზუნგები ხშირად დამახინჯებულად იწერება. მაგ., ბ.-ქ. ფედერაციის მოედანზე ქალაქის საბჭოს ქვევით მოთავსებული მაღაზიების წინ ნახავთ ასეთ წარწერებსა და ლოზუნგებს: „სადღესასწაულო ბაზრობა", „სალამი სოციალისტური მინდვრების სტახანოველებს, რომლებიც ბოლშევიკურად ასრულებენ გეგმის". ბელადის ცნობილი სიტყვები: „ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო, ცხოვრება საამური გახდა!" დამახინჯებულადაა გადაწერილი: „ცხოვრება გაუმჯობესდა ცხოვრება საამური გახთა".

შეიძლებოდა კიდევ რამდენიმე მაგალითის მოყვანა, მაგრამ, მგონი ესეც საკმარისია.

ნუთუ სავაჭრო ორგანიზაციებს არა ჰყავთ წერა-კითხვის მცოდნე მუშაკები, რომლებიც მოახერხებდნენ ლოზუნგების სწორად გადაწერას?

ალ. ქანდარია.

შეუწყნარებელი შეცდომა

ამხანაგო რედაქტორო!

სოფ. ნიკორწმინდაში (რაჭა) შენდება სრული საშუალო სკოლა, რომლის ფართობი უდრის 5.000 კუბომეტრს. ამჟამად მუშაობა შეჩერებულია; დახარჯულია უკვე 20-25 ათასი მანეთი და გაღებულია მოსახლეთა შრომა.

მაგრამ არჩეული ადგილი სრულებით შეუფერებელია სკოლისათვის. ამას ადასტურებს გეოლოგიური გამოკვლევის ოქმი, რომლის ავტორი შიშობს, რომ შენობა შეიძლება მშენებლობის პროცესშივე დაინგრეს, რადგან ადგილი ჭაობიანია და საძირკვლის ნიადაგი სხვადასხვა გამძლეობისაა.

გარდა ამ უხერხულობისა ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე შემდეგს: წყარო, რომლითაც სარგებლობს სოფლის ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, სკოლაში საპირფარეშოს დადგმის შემდეგ წაიბილწება, სკოლა უჩინარ ადგილას არის ჩამალული და შარაგზის პირად, რაც კანონით დაუშვებელია. და ეს მაშინ როცა არსებობს სკოლისათვის იშვიათად ლამაზი, ფართო და მეტად თვალსაჩინო ადგილი ისტორიული ძეგლის—ცნობილი ნიკორწმინდის ტაძრის გვერდით, სადაც სკოლას მთელი დღის განმავლობაში მზის სხივები არ მოაკლდება.

სჯობს დაიკარგოს უკვე დახარჯული 20-25 ათასი მან., ვიდრე მთელი გაღებული ფული და სოფლის შრომა დაიღუპოს და ბოლოს სოფელი უსკოლოდაც დარჩეს.

დ. დავითაშვილი.

ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონთა სარემონტო ქარხნის საუკეთესო სტახანოველი მჭედელი, პარტიის წევრი ამხ. პ. ილურიძე აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია (ლენინის რაისაბჭოს წევრი, მრავალტირაჟიანი გაზ. „ჩვენი საგზაო" მუშკორი) და ამავე დროს მოწინავეა წარმოებაშიც. იგი თავის ნორმებს 200.300 და 400 პროცენტითაც კი ასრულებს.
სურათზე: ამხ. პ. ილურიძე.

ფოტო ბელეშცკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

ა. რუხაძე

საქართველოს სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროების და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს უფროსი.

გამოვიყენოთ თბილისის გამოცდილება

წინათ გამოშვებული ობლიგაციების გამოცვლა თბილისსა და თბილისის რაიონში, რაც 1 ოქტომბერს დაიწყო, ორგანიზებულად მიმდინარეობს.

პირველ ნოემბერს ობლიგაციების გადაცვლა დაიწყო აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ-ოსეთში, რაიონებში კი 15 ნოემბრიდან.

კონვერსიისათვის მოსამზადებელი მუშაობა უკვე გაშლილია საქართველოს ყველა რაიონში. მათ უკვე ძირითადად მოათავეს ობლიგაციების მქონეთა წინასწარი აღრიცხვა და გაშალეს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

რაიონში კონვერსიას პარტიული ორგანიზაციები უდიდეს ყურადღებას აქცევენ. გადაცვლის შესამოწმებლად მათ გამოჰყვეს საიმედო პირები, გადაცვლისათვის ამზადებენ საწარმოებს, დაწესებულებებსა და სოფსაბჭოებს.

დიდ მუშაობას აწარმოებს რაიონებში საქართველოს ტაკთან არსებული სესხების ცენტრალური დამხმარე კომისია გამსვლელი სესიების მოწყობით, რომელზედაც ისმენენ მოხსენებებს ადგილებზე კონვერსიის მიმდინარეობის შესახებ, აძლევენ კონკრეტულ მითითებებს და სხვ. მაგალითად, სესხების ცენტრალური დამხმარე კომისიის გამსვლელ სესიაზე გორში ხაშურის რაიშემსალაროს გამგის მოხსენებამ ცხადყო, რომ მან კონვერსიის ჩატარების სარკ ფინსახკომის ინსტრუქცია ცუდად გაიგო. ამის გამო ხაშურის რაიონში ამ დარგში მუშაობა სუსტად მიმდინარეობს.

ბაშკიჩეთის რაიშემსალაროს 5 ოქტომბრის მოხსენებიდან ცენტრალური დამხმარე კომისიის სესიაზე გამოაშკარავდა, რომ იგი თითქმის არცერთ ინსტრუქციას და საერთოდ არავითარ მითითებებს არ კითხულობს და ეს საქმე ტექნიკურ აპარატს მიანდო.

აფხაზეთის შემნახველი სალაროების სამმართველოს უფროსმა ამხ. კაციამ გვაცნობა, რომ მან შეუქმნა სპეციალური შტამპი, რომელიც დაესმება შემოწმებულ ობლიგაციებს. ეს ცუდი წამოწყებაა, რადგან ობლიგაციის მქონეს საშუალებას არ აძლევს მეორეჯერ შეამოწმოს თავისი ობლიგაცია. ობლიგაციების შემოწმების ასეთი „რაციონალიზაცია" დაუშვებელია.

მიუხედავად იმისა, რომ გადაცვლის უკანასკნელი ვადაა 1937 წ. 1 მარტია, გორის რაიშემსალარომ გეგმაში კოლექტივებისათვის ობლიგა[illegible] და გადაცვლა სოფლის საბჭოებში 1937 წლის იენისამდე გაითვალისწინა.

საქართველოს რაიონებში კონვერსიის ზუსტად და ორგანიზებულად ჩატარება მოითხოვს თბილისის გამოცდილების გამოყენებას.

თბილისში დიდი მუშაობა ჩაატარა სახელმწიფო სესხების ცენტრალურმა დამხმარე კომისიამ, რომელმაც სპეციალურ სხდომებზე სექტემბერში მოისმინა ძირეული დამხმარე კომისიების 20-ზე მოხსენება კონვერსიისათვის მომზადების შესახებ და აძლევდა მათ კონკრეტულ მითითებებს.

ორგანიზაციათა შორის გადაცვლის დაყენებისა და მოწყობის მხრივ გამოირჩევა აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, თამბაქოს ფაბრიკა, წისქვილის კომბინატი, 26 კომ. სახ. ქარხანა, სამტრესტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიწსახკომი, კომბანკი, საქფინსახკომი, ვაგონშემკეთებელი ქარხანა, სახელგამის მეორე სტამბა.

ფართო ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ და ამ დარგში მომუშავეთა ტექნიკურად კარგად მომზადებამ უზრუნველყო კონვერსიის წარმატებით მსვლელობა თბილისში.

ყველა შემსალაროში და მსხვილ საწარმოში კონვეიერულმა სისტემამ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული შემმოწმებელი მუშაკი ზის ერთი სახის სესხზე, ერთი კი ღებულობს ობლიგაციებს, უცვლად ახარისხებს მათ სესხების სახის მიხედვით და შემდეგ აძლევს თვითეული სესხის შემმოწმებელს, უზრუნველყო ობლიგაციების მქონეთა სწრაფი განთავისუფლება და ობლიგაციების გადაცვლა.

უნდა გავითვალისწინოთ ის დეფექტებიც, რაც თბილისის პრაქტიკაშია. ჯერ კიდევ გადაცვლის დაწყებამდე ცუდად იყვნენ მომზადებული ავეჯის ფაბრიკა, ორთქლმავლების დეპო, რკინი-გზის ორგანიზაციების ზოგიერთი კოლექტივები, ჯანმრთელობის სახკომისარიატი, სარეწაო კავშირი, ტრანსპორტის ინსტიტუტი და სხვ.

360 პატარა ორგანიზაციაში შემოწმება და გადაცვლა სწარმოებს შემსალაროების და ფინორგანოების ძალებით. აქ მუშაობა დიდი დაგვიანებით დაიწყო. შემსალაროებმა ვერ შესძლეს პირველ დღესვე გაეგზავნათ ბრიგადები ამ პატარა ორგანიზაციებში. შეცდომა იყო, როდესაც დიდ ყურადღებას მხოლოდ მსხვილ ორგანიზაციებს ვაქცევდით, რის გამო პატარა ორგანიზაციები ჩამორჩნენ.

მიუხედავად იმისა, რომ შემსალაროების მუშაკები ინიციატივას იჩენენ, კარგად მუშაობენ, აქა-იქ მაინც სუსტი იყო სიფხიზლე. სასტუმრო „ევროპაში" სტალინის რაიშემსალაროს თანამშრომელმა შემმოწმებელი ბრიგადის მუშაობის გასინჯვის დროს ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ობლიგაციები წინასწარ იყო მოგროვებული და ამოწმებდნენ მათი პატრონების დაუსწრებლად, რითაც უხეშად დაარღვია ინსტრუქცია.

ქალაქის შემსალაროების სამმართველოს თანამშრომელმა, რომელიც დასახმარებლად მიმაგრებული იყო „მკერავი" № 2-ზე, ობლიგაციების გადაცვლის გეგმის წინააღმდეგ კატეგორიულად მოითხოვა სამი დღის განმავლობაში დაემთავრებინათ შემოწმება და გადაცვლა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელოვნურად აგრძელებენ გადაცვლის დამთავრებას, მაგალითად: უნივერსიტეტში, სადაც საუცხოოდ მოემზადნენ გადაცვლისათვის, ვადაკი ძალზე გააგრძელეს.

არის შემთხვევები, როდესაც არაორგანიზებული მოსახლეობა, იმის ნაცვლად, რომ ობლიგაციები თვითონ გადაცვალოს, ამას ნაცნობებს ავალებს.

თბილისის ეს გამოცდილება უნდა გაითვალისწინონ საქართველოს ყველა ქალაქებმა და რაიონებმა, რომ უზრუნველვყოთ ობლიგაციების გადაცვლის წარმატებით დამთავრება.

საჭიროა რაიონებში ობლიგაციები წინასწარ შემოწმდეს. წარმოება-დაწესებულებებში უნდა მოეწყოს ობლიგაციების ადგილობრივ შემოწმება-გადაცვლა. ამისათვის საჭიროა ადმინისტრაციამ გამოჰყოს შერჩეული და პასუხისმგებელი პირები. უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ობლიგაციების შენახვას (სალაროების მოწყობა საკუჭნაოებით, ცეცხლგამძლე ყუთებით) და სხვ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეამოწმონ სესხის გადაცვლის საქმე და უხელმძღვანელონ მას, რათა ყველა დამახინჯებასა და ჩამორჩენას ბოლო მოეღოს.

◆

თბილისში, კარლ მარქსის მოედანზე დამთავრდა ახალი დიდი სახლის მშენებლობა. ამ სახლის ქვემო სართულებში მოთავსდება სანიმუშო მაღაზია. ზემო სართულები დათმობილი აქვს ბინებს, სადაც უკვე ჩასახლდნენ მდგმურები. სახლის მთავარი ფასადი მდ. მტკვარს გადაჰყურებს. ეს სახლი ერთ-ერთი ულამაზესი და კეთილმოწყობილია თბილისში ახლად აგებულ სახლთა შორის.
სურათზე: ახალი სახლის ხედი კ. მარქსის ხიდიდან.
ფოტო [illegible] („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ზღვის ფსკერის საიდუმლოება

წყალმყვინთავებმა, რომლებიც შავი ზღვის ფსკერზე მრავალი წლის წინათ დაღუპულ წყალქვეშა ნავს ეძებდნენ, მოულოდნელად წყალქვეშა კლდეზე აღმოაჩინეს დიდი სავაჭრო გემი.

გადაქექეს დოკუმენტები, რომლებიც უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში შავ ზღვაზე მომხდარ ავარიებს ეხება. შეეკითხნენ ძველ მეზღვაურებს, მაგრამ ვერავითარი ცნობა სტრელეცკის ნავსადგურის [illegible] ჩაძირული გემის შესახებ ვერ აღმოაჩინეს.

წყალმყვინთავები შევიდნენ დაღუპულ გემში. იქ არ აღმოჩნდა არც გვამები, არც ნივთები. მაშასადამე, ეკიპაჟი გადარჩენილა. ეპრონოველებმა გადაქექეს მაგიდების ყუთები კაიუტებში და აღმოაჩინეს მათში რაღაც ქაღალდები.

წყლის მიერ დიდად დაზიანებული დოკუმენტებით შესაძლებელი გახდა გემის საიდუმლოების გამოცნობა. გამოირკვა, რომ ეს არის ბულგარული გემი „ბორისი", რომელიც სევასტოპოლში მისულა თეთრგვარდიელების დროს. ვრანგელის ევაკუაციის არეულ მოქმედებაში ყურადღება „ბორისის" ავარიისათვის [illegible].

მარცხენა ქიმის ტრიუმში ეპრონოველებმა აღმოაჩინეს ნახვრეტი. როგორც ჩანს, „ბორისი" დაზიანებულა სხვა გემზე ან წყალქვეშა კლდეზე დაჯახებისას. „ბორისის" ამოღება მეტად რთული საქმე აღმოჩნდა სიღრმეების ისეთი გამოცდილი ოსტატებისთვისაც კი, როგორიც ეპრონოველები არიან. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ გემი მოთავსებული იყო არა ნიადაგზე, არამედ კლდეზე, რომლის ქვეშაც შეუძლებელი იყო გვირაბის გათხრა, რათა გემისთვის პონტონები შეეყენებინათ.

ეპრონოველებმა გადასწყვიტეს გამოეყენებინათ გემის ამოღების ახალი მეთოდი. წყალმყვინთავებმა თან ჩაიტანეს წყალში ელექტროშემდუღებელი აპარატები და მოადუღეს „ბორისის" ქიმს უზარმაზარი ყუთები. ახლა უკვე შესაძლებელი შეიქმნა გემის აწევა.

ეს სტრიქონები იწერება „ბორისის" ქიმზე, რომელიც მთელს მანძილზე ზღვის მცენარეებით არის დაფარული, რაც ფანტასტიკურ სახეს აძლევს გემს, რომელმაც 16 წელი წყალქვეშ გაატარა.

გემის მექანიზმები საუცხოო მდგომარეობაშია. კარგად არის შენახული პალუბა და ხის მოწყობილობა. „ბორისი" კაპიტალურად შეკეთებული იქნება.

მომავალ წელს გემი „ბორისი" შავი ზღვის გემთა მწყობრში ჩადგება.

(„იზვესტია")

◇

საქართველოს ეკონომიურ-გეოგრაფიული შესწავლა

პირველი ხუთწლედისა და განსაკუთრებით მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ სახალხო მეურნეობის წამყვან დარგში სრულიად შესცვალა საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის შინაარსი. რესპუბლიკის მრავალმა კუთხემ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გიგანტური განვითარების შედეგად სავსებით იცვალა სახე. პირველი ხუთწლედის შესრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის დარგში მრავალი ახალი მასალა დაგროვდა, მაგრამ ეს მასალები ჯერაც დაუმუშავებელია, მათი გამოქვეყნება არავის უცდია.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა გეოგრაფიულმა ინსტიტუტმა შეიმუშავა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებასაც იგი ახლო ხანში იწყებს. ინსტიტუტს განზრახული აქვს შეისწავლოს საქართველოს რაიონები ეკონომიურ-გეოგრაფიულად და შეუდგეს ცალკე რაიონების შესახებ ეკონომიურ-გეოგრაფიული მონოგრაფიების დამზადებას.

პირველ რიგში გადაწყვეტილია სუბტროპიკული რაიონების შესწავლა (გალის, ზუგდიდის, ფოთის, მახარაძის, ქობულეთისა და ლანჩხუთის რაიონები). საამისოდ გამოყოფილი არიან მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა მეცნიერები, შედგენილია სამუშაო გეგმა.

ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციების მუშაობას და საერთოდ საქართველოს ეკონომიურ-გეოგრაფიულ შესწავლას ხელმძღვანელობს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. კარლო ორაგველიძე. დაწყებულ მუშაობაში მონაწილეობენ—პროფ. გეხტმანი, პროფ. ა. ჯავახიშვილი, პროფ. ათარბეგოვი, ყავრიშვილი, გ. გრიგორიანი და ლ. კარბელაშვილი.

◇ ◇ ◇

თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მშენებლობის დამთავრების ვადები

მოსკოვი, 21 ნოემბერი. (საქტასი). სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა განსაზღვრა თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის უმნიშვნელოვანეს ობიექტთა მშენებლობის დამთავრების ვადა. 1937 წ. 1 იანვრისათვის უნდა დამთავრდეს ყველა საამშენებლო და სანიტარულ-ტექნიკური სამუშაო მთავარ კორპუსში, რაც უზრუნველყოფს ფაბრიკის ამუშავებას, რომელიც წელიწადში 1.500 ათას წყვილ ფეხსაცმელს გამოუშვებს.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით, დეკემბერში ფაბრიკის მშენებლობაზე სტახანოვური დეკადა ჩატარდება.

დენდროლოგიურ პარკში

დოც. გ. ხუციშვილი

თბილისის სატყეო ინსტიტუტის დენდროლოგიურ პარკში ხეების მეტი ნაწილი ჯერ კიდევ მწვანედ გამოიყურება. იაპონური კრიპტომერია, კალიფორნიის სექვოია, მექსიკური ლავზონის კიპაროზი, გიგანტური ტუია და მრავალი სხვა წიწვიანი მცენარე ამ ოთხ-ხუთი წლის განმავლობაში 2—4 მეტრის სიმაღლემდე გაიზარდა. კარგად იზრდებიან აგრეთვე ბათომიდან შემოტანილი იაპონიის ლამაზი ნეკერჩხალი, ინდოეთისა და იაპონიის აზალია, ფრიად დეკორატიული და ამერიკაში გავრცელებული იაპონური ფურფურა ალუბალი, ლამაზ ფოთლიანი ლირიოდენდრონი, ლაქის, სანთლის, საპნის და სხვ. მცენარეები.

ამ წელს ევკალიპტმა მეტრნახევარზე მეტი სიმაღლე შეიმატა. საამური სანახავია სამხრეთ-ამერიკის როგორც დეკორატიული, ისე ძვირფას ნაყოფიანი ფეიხოა, იაპონური ხურმა. იაპონურ პუერარიამ ერთ ზაფხულში გაშალა ექვს მეტრიანი ტოტები. ბათომიდანვე შემოტანილი ციტრუსების ჰიბრიდებს გარეულ ლიმონთან კარგი შეხედულება აქვთ. ზოგიერთი სათუთი მცენარე ზამთრის სუსხისაგან დასაცავად შეფუთული იქნება, ზოგ მათგანს სათბურში შევიტანთ, დანარჩენი ცდის მიზნით, თუ როგორ აიტანენ ისინი თბილისის ზამთრის ჰავას, გარეთ დარჩება. ჰავის მთავარ ელემენტებს აღრიცხავს დენდროპარკის მეტეოროლოგიური სადგური.

დიდ ინტერესს წარმოადგენს მუხაზე წაბლის მყნობის ცდები, რომელსაც პროფ. ს. ქურდიანი აწარმოებს. როგორც ცნობილია წაბლი ვერ ეგუება აღმოსავლეთ საქართველოს კირიან და მშრალ ნიადაგებს. ამავე დროს მუხა ამისთანა ნიადაგებს არამც თუ არ გაურბის, არამედ საუკეთესოდ ხარობს. მუხაზე ნამყენი წაბლი დაუბრკოლებელ შედეგებს იძლევა. ერთი ზაფხულის განმავლობაში წაბლმა მეტრ-ნახევარი ზრდა მოგვცა და ბოლოს ყვავილის ბუტკოც გამოიტანა. მეორე წელიწადს შეიძლება დაისხას კიდეც. ეს ცდები იმედს იძლევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს თვალუწვდენი დაჯაგული მუხნარები შეიძლება გადავაქციოთ წაბლნარ ტყეებად, რომელიც გაამდიდრებს ჩვენს მხარეს, ერთის მხრივ, ნოყიერი და გემრიელი ნაყოფით, ხოლო, მეორე მხრივ, საუკეთესო მერქნით.

სურათზე: მუხაზე დამყნილი წაბლი თბილისის დენდროპარკში.

უჩვეულო შემოდგომა

მახარაძე, 21 ნოემბერი (საქტასი). მიუხედავად იმისა რომ უკვე ნოემბრის დასრულდება, თბილი, მზიანი დარი დგას. დღისით სითბო 25,5 გრადუსამდე აღწევს. მეორედ აყვავდნენ ვაშლის, მსხლის, ალუბლის, ატმის ხეები. მანდარინებში [illegible] ბი და ია, ტყეში მეორედ ყვავის მოცვი. ბაღებსა და პარკებში უამრავი ყვავილებია. გამოჩნდა მუშმალას ყვავილი, აყვავდა „კომუნის" ჯიშის ლიმონი. ჩაის ბუჩქებს ახალახალი ყლორტები გამოაქვს. მახარაძის რაიონის კოლმეურნენი, რომლებიც ერთ-ერთი პირველნი იყვნენ იმათ შორის, ვინც ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა შეასრულა, და გეგმის ზევით კიდევ 200 ათასი კილოგრამი ფოთოლი ჩააბარეს, განაგრძობენ ნორჩი ყლორტების კრეფას. წელს არაჩვეულებრივ ადრე დამწიფდა მანდარინი.

რაიონმა უკვე შეასრულა მანდარინის დამზადების გეგმა. ჩაბარებულია 18 მილიონი ცალი. კოლმეურნენი პირობას იძლევიან კიდევ მოჰკრიფონ თავიანთ პლანტაციებში და სახელმწიფოს ჩააბარონ ციტრუსოვანთა 6-7 მილიონი ცალი ნაყოფი. მწიფდება ლიმონი, ფორთოხალი, ციტრონი.

მხოლოდ აჭარა-გურიის მთები და ბახმაროს მწვერვალი, რომლებიც პირველი თოვლით არიან დაფარულნი, მოგვაგონებენ ზამთრის მოახლოვებას. ცაცხვი, ჭანდარი, წიფელი და სხვა ფოთლოვანი ხეები ჯერ კიდევ უხვ ოქროსფერ სამოსელში არიან.

ტყეებს, სადაც ბევრია ფოთლოვანი და მარადმწვანე ხეები, ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ მწვანე სამოსელი. უკვე მოფრინდნენ იხვები, ბატები, ღალღები, გვრიტები და სხვ. ფრინველები, რომლებიც აქ ზამთრობენ.

მონადირენი გაძლიერებით ემზადებიან საზამთრო ნადირობისათვის, იძენენ მაღალყელიან რეზინის ჩექმებსა და თბილ ტანისამოსს.

რაიონში ცნობილი მონადირე კოლმეურნე ბერსენაძე ემზადება დიდი ნადირობისათვის დათვზე. სწავლობს დათვის ბილიკებს, აწყობს ხაფანგებს.

რემედასის ც. კ-ის პრეზიდიუმი

საქართველოს რემედასის მე-5 ყრილობის შემდეგ, ამხ. გ. სტუროას თავმჯდომარეობით, შესდგა საზოგადოების ახლად არჩეული ც. კ-ის პლენუმი, რომელმაც აირჩია პრეზიდიუმი 9 კაცის შემადგენლობით.

პრეზიდიუმში არჩეული არიან: ამხ. სერგო მეგრელიშვილი, ნ. გ. მგელაძე, ნ. ლ. გოგია, პუგაჩოვი (საქ. პროფსაბჭო), შელია (ა.-კ. სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველო), ა. ქ. მგელაძე (საქ. ა.ლ.კ.კ. ც. კ-ი), ლეჟავა (სახ. უნივერსიტეტი), გუგავა (თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა) და ბარბაქაძე (სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხანა).

პლენუმმა რემედასის ც. კ-ის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. სერგო მეგრელიშვილი.

სასამართლო

შვილის მკვლელი

ნაპერწკალივით იფეთქებდა ხოლმე ეპინახე დანელია, ოჯახში რომ ვინმე [illegible] გადამეტებოდა, ნემსს რომ [illegible] მოსტყუ[illegible] ცოლ-შვილს [illegible] გაუბრაზდებოდა. მაგრამ ბავშვების დედა აგრაფინა მომავლის იმედს არა ჰკარგავდა,—ჯიღდაბას წამომეზრდებიან და მეც მათით გავიხარებო.

დღეები მიდიოდა... ეპინახე უფრო ეუტხეში და უდიერი ხდებოდა.

რამდენიმე წლის წინათ დედამ პატარა ნინოს მამასთან ყანაში სადილი გაატანა. ბავშვს, შინიდან გასვლისთანავე, ეპინახემ ისე დაუბრიალა თვალები, თითქოს მის გადაყლაპვას ლამობსო.

— სადღა გდიხარ ამდენ ხანს—შეუყვირა. წადი, კამეჩები მწყემსე, თორემ აქვე გაგაქრობ.

ბავშვმა საჩქაროდ და მორჩილად მოუსვა დატოვებული საქმისაკენ, საქონელი ბილიკებში გარეკა, თვითონ კი იქვე თუთის ხეს მოეფარა.

უცებად მამის რისხვა ხელმეორედ მოესმა—რა ეს ლეკვი, საქონელი სხვის ბაღჩაში რად შეგირეკია—დაიღრიალა. ნინოს [illegible], ხიდან ჩამოსულ ბავშვს შინისკენ სახრე მოუღერა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ამას და [illegible] ... ბავშვი იქვე ბილიკზე უგონოდ დაეცა... ამ დღის შემდეგ ვეღარც იხეირა, მალე სულიც განუტევა.

ნინოს დანელიამ მოძულებული ცოლ-შვილი უდიერესად მიატოვა და ახლო მეზობლის ოლღე ქობალიავა შეირთო.

ამა წლის 31 აგვისტოს ზანათის თემის (აბაშის რაიონი) არასრულ საშუალო სკოლაში წარმოდგენა უნდა გამართულიყო. სოფლის ყმაწვილები... დარბაზს აფორიაქებული მაყურებელი ავსებდა... მოულოდნელად [illegible] მოისმა... თურმე სკოლის კლუბში მიმავალ აგრაფინას გზაზე ეპინახე დანელია ახალი ცოლითურთ შეხვედრია... მისვლისთანავე ჩხუბი და „ნებდ-დედინაცვალს" უფრო ქალი წავიდოდა [illegible] რას უზამდნენ, რომ აგრაფინას ბალღი და ტყუილი არ მიშვებულიყო.

გაიზარდა... ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მხიარული ახალგაზრდები კვლავ კლუბისაკენ გაეშურნენ. თითქოს აფორიაქება გათავდა, რომ ახლადჩამოვარდნილი სიწყნარე, ქალის ძახილმა ხმამ გაარღვია:

— როგორ, განა ეს უყურებთ, რატომ ხელიდან არ ამოსწყვიტეთ, ახლავე თორემ სახლში აღარ შემოგიშვებთ.

გაცოფებული დანელია ჯგალმასებული დიდაკაცის რისხვამ და ბრძანებამ უფრო გაცოფა, იძრო დანა და ცოლშვილს ზელაბრდა დაუდებია... სოლის ეზოში 17 წლის ბავშვი ლილი წააწყდა.

— მამა, ნუ მომკლავ, რა დაგიშავე? თავწყო ხვეწნა და თავის დაცვას შეეცადა... მაგრამ გამხეცებული ადამიანი სახლს დაიძრა.

— ვერ გამიქცევი!... დაიწია... და უდანაშაულო ბავშვი დანით სასიკვდილოდ დაჭრა.

განცვიფრებულმა რომ წამოირგა, გახარებულმა „მამამ" დანას კმაყოფილებით დახედა და შვილის სისხლი ენით ალოკა...

— ერთი რამ [illegible] გათავდა გაათრიბული და დანარჩენ შვილებსაც დიხებოდა... მაგრამ აღელვებული ამოსვლის და გაცოფებულ რეგება მხეცს სათანადო ადგილას მიუჩინეს.

ამ საქმის რაისასამართლოს გასვლითმა სესიამ, ამხ. დირეხალავას თავმჯდომარეობით, აღმოუჩინა ეპინახე დანელიას და მისი წაქეზებელი ოლღე ქობალიავას საქმე. პირველს ათი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა შორეულ ბანაკში გადასახლებით და სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით საარჩევნო ხმის უფლების აყრით, ხოლო მეორეს—სამი წლით მიუსაჯა.

უზენაესმა სასამართლომ განაჩენი დაამტკიცა.

მიხო აბრამიძე.

თბილისი. [illegible] სკოლაში მოაწყეს მოწაფეთა გასართობი კუთხე, რომლისათვისაც შეიძინეს 600 მანეთის სათამაშოები. შეძენილი სათამაშოებით ბავშვები სარგებლობენ დასვენების დროს.
სურათზე: მოწაფეები რევაზ გორგილაძე, ოთარ მხეიძე, გოგი დავითაშვილი და ცისია თალაკვაძე მათთ საყვარელი სათამაშო „აკრობატით".
ფოტო — ბუდიშევსკის („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

23 ნოემბერს თბილისში გაიმართება თბილისის და აზოვ-შავი-ზღვის მხარის (როსტოვი) მოკრივეთა შეჯიბრება სსრკ-ის პირველობაზე.
სურათზე: შეჯიბრების მონაწილეთა ვარჯიში.
ფოტო ლინგის („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ილიას შემოქმედების საღამო

დღეს, საღამოს 8 საათზე მილიციის კლუბში გაიმართება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დიდი საღამო.

მოხსენებას ილიას შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ გააკეთებს ამხ. ბენიტო ბუაჩიძე, ორგანიზაციის მწერალი ამხ. მიხ. ჯავახიშვილი საღამოზე გამოვა მოგონებებით. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები: ი. გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, გ. ქუჩიშვილი, ვ. გორგაძე, ა. ბობოხიძე, სომ. წერეთელი, ალ. გომიაშვილი, ირ. აბაშიძე და გ. კაჭახიძე.

◇

ახალი ამბები

# რუსთაველის თეატრის სარეჟისორო კოლეგიამ დიდი [illegible] სისტემატიური შემოქმედებითი კონსულტაცია გაუწიოს აჭარის სახელმწიფო დრამის თეატრს. ამ მიზნით ბათომში ხანგრძლივ შემოქმედებით მივლინებაში გაიგზავნებიან რუსთაველის თეატრის ცალკეული რეჟისორები, მსახიობები, კომპოზიტორები და სამხატვრო-ტექნიკური ნაწილის მუშაკები.

# საქართველოს საზაფხულო კურორტებზე (წყალტუბო, ბორჯომი და აბასთუმანი) საგზურები აღარ მოიპოვება. დეკემბრისათვის დარჩენილია რამდენიმე საგზური [illegible].

# უცილებლად [illegible] შეგროვების მიზნით, თბილისის საბინაო ამხანაგობათა კავშირმა წინადადება მისცა საბინაო ამხანაგობებს სახლის ეზოებში [illegible] შესაგროვებელი კუთხეები.

# საქართველოს რაიონები წარმატებით იბრძვიან უგზოობის ლიკვიდაციისათვის. 10 თვის განმავლობაში—პირველი იანვრიდან პირველ ნოემბრამდე გაყვანილია 882 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზა. მთელი 1936 წლის დავალება კი ითვალისწინებდა 334 კილომეტრი გზის გაყვანას.

# თბილისის კონსერვატორიის დირექციამ ლენინგრადიდან მოიწვია ცნობილი პროფ. ს. ლ. გინზბურგი და პროფ. პ. ბ. რაბინოვიჩი, რომლებიც კონსერვატორიის ასპირანტებისა და სტუდენტებისათვის კითხულობენ ლექციებს მუსიკის ისტორიასა და კომპოზიციის თეორიაში.

◇

შემთხვევები

# ქურდების ბრბოს შეპყრობა

საქ. შინსახკომის ორგანოებმა შეიპყრეს ქურდ-გასტროლიორების ბრბო, რომელშიაც შედიოდა ა. ა. ხაჩიკიანი, ო. ა. ლოპატინსკი და ქ. ს. ვოლკოვი. ყველა დამნაშავეს ქურდობის არაერთი რეგისტრაცია აქვს სხვადასხვა ქალაქში და ისინი დადიოდნენ როგორც შრომა-გასწორების ბანაკიდან გაქცეულები. ქურდებს აღმოაჩნდათ და ჩამოერთვათ დიდძალი ძლიერ მომქმედი მედიკამენტები, როგორიცაა მაგალითად: კოკაინი, ატროპინი, კოდეინი და სხვ. როგორც გამოირკვა, ყველა ეს მედიკამენტი მათ მოიპარეს აზერბაიჯანის (ბაქო) მიწსახკომის სავეტერინარო სამმართველოდან. თბილისში ბრბომ რამდენიმე ბინა გაქურდა. დაპატიმრებისას ქურდებს აღმოაჩნდათ სხვადასხვა მოპარული ნივთები (საზაფხულო [illegible], ქალის ტანსაცმელი, საცვლები და სხვ.). გარდა ამისა, მათ აღმოაჩნდათ [illegible] და სხვა საქურდო ინსტრუმენტები. თბილისში ბრბოს მფარველი [illegible] ვ. ი. ლარიონოვი ([illegible] ქ. 8). ქურდების მასპინძლებში აქ [illegible]. საქმის გამოძიება გრძელდება.

# ავტომანქანის მსხვერპლი. შოფერმა [illegible] საბარგო ავტომანქანა № 23—39, რომელსაც მართავდა შოფერი ე. ა. კოტერიძე, დაეჯახა [illegible] გაიტანა [illegible] მ. მ. ზუბაროვის და მძიმედ დაშავდა [illegible] საავადმყოფოში მოათავსეს. შოფერი შეიპყრეს.

# დაჭრა. 21 ნოემბერს ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე ნამაზ ბაირამ-ოღლიმ ([illegible] მეორე შესახ. 2) ცულით დასჭრა თავისი ცოლი ა. ბაირამ-ოღლი. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

ფეხბურთი

როსტოვი — თბილისი

თბილისში ჩამოვიდა როსტოვის ფეხბურთელთა გუნდი „ბურევესტნიკი", რომელიც თავისი მოხერხებულობითა და დისციპლინით საბჭოთა გუნდთა შორის [illegible] პროფკავშირულ კოლექტივებს შორის.

როსტოველები თბილისში ჩაატარებენ ორ შეჯიბრებას. პირველი მატჩი გაიმართება დღეს, 23 ნოემბერს, „დინამოს" სტადიონზე. სტუმრებთან თამაშობს თბილისის „ბურევესტნიკი", რომელმაც საქართველოს პირველობა მოიპოვა პროფკავშირულ გუნდებს შორის.

24 ნოემბერს როსტოველებთან თამაშობს „დინამოს" პირველი გუნდი. დასაწყისი 23 ნოემბერს დღის 4 საათზე, ხოლო 24 ნოემბერს—3 საათზე. მატჩი შედგება ყოველგვარ ამინდში.

◇

ახალი წიგნები

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები:

ვ. ი. ლენინი—იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია. ფასი ყდით 3 მან.

ვ. ი. ლენინი — ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში. ფასი 2 მან.

ი. სტალინი — პარტიის ფრონტზე. ფასი ყდით 1 მან.

ი. სტალინი—რ.კ.პ. (ბ) მე-14 კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის. ფასი ყდით 1 მან. 60 კ.

◇

კრებები

საქ. ცენ. საჯარო ბიბლიოთეკა ნოემბრის 24-ს, საღამოს 8 საათზე ბიბლიოთეკის დარბაზში (კეცხოველის ქუჩა № 5) მოაწყობს [illegible] ლექციას „ისტორიის ფილოსოფია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში". შესვლა თავისუფალია.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

23 ნოემბერს პროპაგანდისტთა სკოლის (ქართული ჯგუფები) მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

○

დღეს, 23 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში თბილისის პარტიული აქტივისათვის გაიმართება ლექცია თემაზე: „თანამედროვე ესპანეთის ეკონომიური - გეოგრაფიული მიმოხილვა". ლექციას წაიკითხავს პროფ. ათარბეგოვი.

○

— **კიროვის პარტრაიკომი წინადადებას აძლევს** ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ რაიკომის სააღრიცხვო სექტორში: ა. დ. ავეტისოვი, ს. ა. არუთინოვი, მ. ი. [illegible], ს. მ. [illegible], ე. ბ. [illegible]შვილი, ბ. ა. ბარდაველიძე, ნ. ბ. არუთინოვი, დ. ტ. დოლიძე, ს. ი. ჯანაშვილი, ს. მ. [illegible], ს. ლ. ჯაფარიძე, გ. პ. [illegible], ტ. მ. ვასილიევი, ა. გ. [illegible], ტ. მ. [illegible], ს. ი. [illegible], მ. მ. [illegible], ა. ნ. [illegible], ს. ბ. [illegible], ვ. მ. [illegible], ა. გ. [illegible], ლ. პ. [illegible], ნ. ი. [illegible], ი. რ. მაჭავარიანი, ვ. ქ. მამულაშვილი, გ. დ. [illegible], ვ. ბ. [illegible], ი. გ. [illegible], მ. ი. [illegible], ს. ი. [illegible], ი. გ. [illegible], ლ. ი. [illegible]შვილი, ი. ბ. [illegible], ს. ვ. [illegible], ს. დ. [illegible], თ. ბ. [illegible]შვილი, მ. ო. [illegible], მ. რ. [illegible], ლ. პ. [illegible], ვ. მ. [illegible], ს. უ. [illegible], ს. უ. [illegible], გ. ი. იაკობაშვილი.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

23-XI	ნაბიჭვარი
24-XI	შემოდგომის აზნაურები

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

23-XI	მორეული
24-XI	ნინოშვილის გურია

სახცირკი
ტელ. 3-11-44
24/XI დღისით 2 წარ. ზოლლოს მონაწ. დასაწ. 12 და 2 ს.

დღეს, 23 ნოემბერს
დიდი საცირკო წარმ.
3 მოქმედ.
გამოვა მწვრთნელი-ჯამბაზი
მ. ზოლლო
თავის ოთხფეხა არტისტების ჯგუფით.
უცხოელი არტისტების
ლუიზას და ანჟელოს
პირველი გამოსვლა.
დასაწყ. 8 ს. 30 წ.
სალარო 12-2 ს. და 5 ს-დან.

დღეს სახკინმრეწველობის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვანი ფილმი შემთხვევითი შეხვედრა
დამკვრელი 6-45, 8 45, 10-45	ახალი დიდი ხმოვ. ფილმი გამარჯვებულთა შთამომავლობა
კომკავშირი 6,7-40,9-20,11	მე-2 სერია ხმ. სურათი მტრის ზურგში
რ. ლუქსემბურგის სახ. 6 45,8-45,10-4	ფერადი ხმ. ფილმი გრუნია კორნაკოვა (სოლოვეის სოლოვუშკო)
28 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი კარლ ბრუნერი
ახალი ამბები	უახლესი ამბები მე-4, მე-5, მე-6 გამოშვება, ხამბ. საქართველო — № 7.

სრულიად საქართველოს „სარეწაო კავშირის" სისტემის ჩელუსკინელთა სახელობის არტელის დასკვნითი ბალანსი

აქტივი 1936 წ. 1 იანვრისათვის პასივი

№№ რიგზე	მუხლების დასახელება	თანხა	№№ რიგზე	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	85128—50	1	ფონდები	181885—79
2	საწარმოო მარაგები	283228—56	2	მიზნობრივი რეზერვები	54692—99
3	ფულადი საშუალებანი	1261—61	3	გრძელვადიანი კრედიტები	20000——
4	საშუალებები ანგარიშსწორებებში	61717—96	4	ანგარიშსწორებანი	218603—56
5	განცენებული საშუალებანი	22782—76			
6	დანაკარგები	21062—95			
	ბალანსი	475182—34		ბალანსი	475182—34

არტელის თავ-რე ბოლქვაძე ი. მთავ. ბუღალტერი ა. ხოხიტაშვილი.

დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ. 1619

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა"

გამოვიდა და იყიდება

ტექნიკური ცნობარი ინჟინერთა, ტექნიკოსთა და სტუდენტთათვის, ტ. I. ფასი 35 მან.

პროფ. ჩუბინაშვილისა და სევეროვის „ქართული არქიტექტურის გზები" (ქართულ და რუსულ ენებზე) ფასი 10 მან.

ბაქრაძე—ამწევი მანქანები, I ნაწ. 15 მან.

შეიძინა შეიძლება გამომცემლობის მაღაზიებში: ტფილისი—რუსთაველის პროსპ. № 24. ბათომი—მ. გორკის ქ. № 6, ქუთაისი—ლიბკნეხტის ქ. № 15. 309

საქმესის სურამის ხე-ტყის დამამზადებელი კანტორა

იმყოფება საქ. მეტყის გამგებლობაში, რეგისტრირებულია ხაშურის ფინგანში 1936 წ. 21 მარტს № 8. საქმიანობის საგანი: ხე-ტყის მასალის დამზადება-რეალიზაცია. საანგარიშსწორებო ანგარიში № 160—33 სახბანკის ხაშურის განყოფილებაში. მისამართი: სურამი, [illegible] ქ. № 2.

თავმჯდომარე ვ. ხაზიძე.
მთ. ბუღალტერი მ. ბუთიძე.
1019-114

თბილისის ლენინის რაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი **ქ. ხ. ხიზბუა** აცხადებს, რომ ა-წ. 25 ნოემბერს 1 საათზე ლორთქიფანიძის ქ. № 27-ში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება მოქ. [illegible]შვილის [illegible], ათი [illegible] შემდეგი სახლის თავის საკუთრებით შენობებით. შეფასებულის 8.481 მან. სახლი გაიყიდება თბილისის ლენინის რაიონის სახ. სასამ. 1936 წ. 11 მაისის გადაწყვეტილებისა. აღმასრ. ფურცელი № 2-9. ვალაგია [illegible] 3.888 მან. ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობის დროს დაცული იქნება საჯარო წესები 165/3

სარეწაო კოოპ. არტელი „მეგობარი"

იმყოფება საქ. სარეწაო კავშირის გამგებლობაში. რეგისტრირებულია [illegible] ფინგანში ა-წ. 19 თებერვალს № 19. საქმიანობის საგანი პურის ცხობა. საანგარიშსწორებო ანგარიში № 105 7013ა სახბანკის ქუთაისის განყოფილებაში. მისამართი: წერეთლის ქ. № 8.

თავმჯდომარე ვ. ნ. ჯიმშკარიანი.
მთ ბუღალტერი ნ. ვაჩნაძე.
1011-106

სამტრედიის ცენტრალური სარემონტო მექანიკური სახელოსნო

იმყოფება საკავშირო ტრესტ „საქართველოს ბაია" გამგებლობაში. რეგისტრირებულია სამტრედიის ფინგანში 1936 წ. საქმიანობის საგანი: სარემონტო სამუშაოები. საანგარიშსწორებო ანგარიში № 75—4 სახბანკის სამტრედიის განყოფილებაში. მისამართი: სამტრედია, ბათომის ქ. № 5. 1021

ბალანსი

საქართველოს ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქარხნო-საფაბრიკო მშენებლობის ტრესტ „საქქარხმშენისა" 1935 წ. და 1936 წ. 1 იანვრისათვის (ათას მანეთობით).

აქტივი	1935 წლის 1 იანვრისათვის	1936 წლის 1 იანვრისათვის	პასივი	1935 წლის 1 იანვრისათვის	1936 წლის 1 იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობის			1. საწესდებო ფონდი	3796,9	3454,1
ა) ძირითადი საშუალებანი მოქმედი	2477,1	2764,3	2. საამორტიზაციო ფონდი	97,9	257,8
ბ) ძირითადი საშუალებანი უმოქმედო	27,0	155,8	3. სპეცფონდები	12,6	18,4
სულ	2501,1	2920,1	4. რეზერვები	61,0	227,2
2. ანგარიშსწორება კაპიტალურ მშენებლობასთან	47,4	218,5	5. ანგარიშსწორება კაპიტალურ მშენებლობასთან	39,0	36,1
3. საწარმოო მარაგი საწყობში და გზაში. ძირითადი და დამხმარე და სხვა საწარმოო მასალები	1685,9	1989,6	6. გრძელვადიანი კრედიტი	—	78,6
4. წარმოება. დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარ ფაბრიკატები	32,7	102,0	7. მოკლევადიანი (სახ. ბანკის) კრედიტი	12,0	—
5. საქონელი და მზა ნაწარმი. საქონელი და მზანაწარმი აწყობში, გზაში, გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გამოყოფილი ფასეულობანი	72,8	70,8	8. კრედიტორები	3655,1	5190,4
6. ფულადი საშუალებანი	345,8	982,5	9. მომავალი პერიოდის შემოსავალი	105,2	127,1
7. დებიტორები	1392,7	2037,6			
8. მომავალი პერიოდის ხარჯები	494,8	587,7			
9. ზედმეტი					
ა) ზარალი საანგარიშებო წლამდე	215,3	—			
ბ) ზარალი საანგარიშო წლისა	988,2	490,9			
ბალანსი	7779,7	9380,7	ბალანსი	7779,7	9399,7

ბალანსის გარეშე ანგარიშები

1. დაუმთავრებელი სამუშაოები, მოხსნილი დამკვეთლებისაგან	16951,0	—	1. დამკვეთლები მობარებული და დაუმთავრებელი სამუშაოებით	—	16951,0
2. იჯარით აღებული „ძირითადი საშუალებანი"	10,4	—	2. მოიჯარადრენი	—	40,4

ტრესტის მმართველი: მ ა რ ქ მ ა ნ ი. მთ. ბუღალტერი: შ ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე.

ეს ბალანსი განხილულია საქ. ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატის სრეცკომისიაში. დამტკიცებულია საქ. ადგილ. მრეწ. კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1611 საქ. ადგ. მრეწ. სახ. კომისარიატის მთ. ბუღალტერი: პ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე.

მისამართები: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16 გამომცემლობის—რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3 06—88, განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40. მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ა. — 8100